საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი-სამშაბათი, 15-16 მარტი. 2021 წ. №53-54 (9172-9173) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

საღ გაჭრა თალლითი ზაზა მამულა-შვილი?!

ლია ჭერილი

შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ ვახტანგ გომელაურს თანამედროვე ათეიზმის ფონზე

4

ღვთის რისხვას საღღა დაემალები!..

ზურაბ ქევანიშვილი: კაცი – მაგალითი

სმენის გასაოცარი სამყარო...

5

SOS! ორივე სახალხო მოსახდელია!!!

საქართველო ამჟამად ორ ვირუსს ებრძ-ვის. ერთს, კოვიდ-19-ს, როგორც ჩანს, ეშვე-ლება, აცრა დღეიდან იწყება; მაგრამ და-მარცხების პირი არ უჩანს მეორე, ბევრად მძიმე ოპოზიციურ, ანუ ნაციონალურ ვირუსს!..

პრესამთავრობო სექტორი – სამარცხვინო ვენერიული სენი...

2

ბასილაშვილი ჩემპიონია და ბაიას მიაქციოს ვინმემ ყურადღება, ნიფხვიდან აპირებს ამოხტომასო.

◎ თაობები განადიდებენ

ნიკოლოზობა ყატარში

ATP 250 | Qatar ExxonMobil Open 2021

MARCH 8-13, 2021

ნიკოლოზ ბასილაშვილის ტრიუმფის შემდეგ საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს ფსიქოლოგი-ური მუხტი შეემატა და, მართალია, სრკ-ის საპ-რეზიდენტო არჩევნები სკანდალში გადაიზარდა, მაგრამ „ბორჯღალოსნები“ მალევე მოეგნენ გონს და რაგბი ევროპის ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრა მადრიდში მძიმე გამარჯვებით დაას-რულეს – 25:19.

ესპანელებთან მატჩში მოვლენები პორტუგალი-ელებთან სასტარტო ბრძოლის მსგავსად განვითარ-და, რომლებიც შესვენების შემდეგ გავტეხეთ – 29:16, მაგრამ ამჯერად მეტოქეს მხოლოდ სამი ლე-ლო დავუდეთ და ბონუს-ქულა ვერ მოვიპოვეთ.

მოგეხსენებათ, წლევანდელი ფორუმი 2023 წელს საფრანგეთში გასამართავი მსოფლიო თა-სის შესარჩევ ტურნირსაც წარმოადგენს, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება 20 მარტს კალინინ-გრადში რუსებთან დანიშნული პრინციპული ჯახის შედეგს.

პორტუგალია – რუმინეთი – 27:28.

სხვა უფლება არც ჰქონდათ...

არასამთავრობო სექტორი - ვენერიული სენი...

წერილს სახალხო დამცველისადმი ნიკოლოზ ბასილაშვილის ადვოკატის ირმა ჭკადუას მიმართვით დავიწყებ.

მიმართვის საჭიროება კი მას შემდეგ დადგა, რაც საქართველოს პირველმა ჩოგანმა როჯერ ფედერერი დაამარცხა და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ თბილისიდან სპორტსმენის ტურნირიდან მოხსნა მოითხოვა.

„არც ერთ სასამართლოს არ დაუდგენია, რომ ნიკოლოზ ბასილაშვილი არის მოძალადე, დამნაშავე. სამწუხაროდ, ეს არასამთავრობო ორგანიზაციები ამ ყველაფერს იყენებენ საგრანტო პროგრამების მისაღებად და მე უნდა მივმართო სახალხო დამცველს, რომ მან დაიცვას თავისი ძვეყნის ყველაზე წარმატებული სპორტსმენი ნიკოლოზ ბასილაშვილი, რომლის მიმართაც ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია და მის მიმართ გამოყენებული იქნა არაერთხელ სიძულვილის ენა“.

ეს ყველაფერი კი ვინმე ბასილაშვილის გამარჯვებაზე ბაია პატარაიას და თამარ ჩერგოლეიშვილის იმპოტენტურად შეშფოთებულმა განცხადებებმა გამოიწვია:

ბაია პატარაია – „ესეც თქვენი საქაებო კაცი, შვილს (და არა ცოლს, ცოლს უკვე წაართვა) სახლს ართმევს სასამართლოთი და წელიწადნახევარია ალიმენტს არ უხდის ბავშვს. ასევე, სასამართლოთი აქვს აკრძალული შვილთან მიახლოება – ნეტა რატო?

P. S. არაიურისტებისთვის დავამატებ, რომ ალიმენტის არგადახდა ეკონომიკური ძალადობის ფორმაა.

P. P. S. მალე ყველა გაიგებს, ვინაა ეგ კაცი სინამდვილეში“.

თამარ ჩერგოლეიშვილი – „სპორტული მოვლენა რომ გვიხარია, არ ნიშნავს, რომ ბასილაშვილის პერსონა მოგვწონს. ეგებ შეძლოთ ორი მოვლენის ერთმანეთისგან გამიჯვნა“.

ამ განცხადებებმა ნორმალური საზოგადოების გულწრფელი აღშფოთება გამოიწვია. გამოხმაურებების პათოსს რამდენიმე მცირე კომენტარით გთავაზობთ:

– რა გახდა ამ დედააფეთქებული „არასამთავრობოების“ მოშორება?

ხალხი ვენერიული დაავადებებისგან იკურნება და ეს არასამთავრობო სექტორი რა გახდა ისეთი, რომ ვერ მოვირჩინეთ?

– ბასილაშვილმა „ტვ პირველზეც“ მოიგო თუ მარტო „იმედზე“ ?

– „მთავარზე“ და „ტვ პირველზე“ დოროყაშვილი იგებსო...

– ბასილაშვილი ჩემპიონია და ბაიას მიაქციოს ვინმემ ყურადღება, ნიფხვიდან აპირებს ამოხტომასო.

– რა მაგარი დღე იყო. ბოლოს ასე მგონი 1981-ში გვიხაროდა, თასების თასი რომ აიღო „დინამომ“. მოიგო ამ კარგმა ბიჭმა და ყველაფერი თავის ადგილას დადგა:

ბასილაშვილი ჩემპიონია და ბაიას მიაქციოს ვინმემ ყურადღება, ნიფხვიდან აპირებს ამოხტომასო

ექს-ცოლს დარჩება ფულები.
ბასილაშვილს მოგებული ტურნირი.
ჩვენ-სიხარული და ბაია პატარაიას ის თავისი მზეთუნახავი ფუ@უ, კვლავ.

ცხადია, იყო უფრო ვრცელი და უფრო შიშხათიანი სტატუსები, მაგრამ მათი ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს და ზუსტად ისეთივეა, რასაც თქვენ ფიქრობთ, პატივცემულო მკითხველო, მაგრამ ეს კი აუცილებლად უნდა ითქვას – უნდა ითქვას, რომ ერთი დიდი ჭირი გვჭირს საქართველოში.

ჭირი, რომელიც ამ ე.წ. არასამთავრობოული, ანუ არანორმალური ცხოვრების წესის ჩვენს თავზე მოხვევით შეგვეყარა და ვერაფრით ვიშორებთ.

არადა, ნამდვილად არ მესმის.

ვფიქრობ, ვფიქრობ, ვფიქრობ და ვერაფრით ვხვდები.

აი სერპუხოვოს სინქროფაზატრონის მუშაობის ნიუანსების გაგება უფრო ადვილია, ვიდრე იმის, თუ **რატომ არ ღებულობენ კანონს ცილისწამებისა და სიცრუის გავრცელების წინააღმდეგ.**

პრემიერ-მინისტრი, შსს, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრები, პანდემიასთან მებრძოლი ექიმები, ნამდვილი ჟურნალისტები, საზოგადოების წარმომადგენლები, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ამტკიცებს, რომ სახელმწიფო სამ ე.წ. ტელევიზიას ცილისწამებისა და სიცრუის ტერორის ძვეშ ჰყავს!..

კანონს კი არ ღებულობენ!

არ მითხრათ ახლა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება შეიზღუდება და დემოკრატიულ ფასეულობებს ჩირქი მოეცხებაო“.

რა სისულელეა!!!

ვინც ამას იტყვის, მან ნამდვილად არ იცის დემოკრატიის და სიტყვის თავისუფლების მნიშვნელობა.

არც იმის მჯერა, დასავლეთი ვერ გაგვიგებსო.

ნორმალურ დასავლეთს ძალიან კარგად ესმის და ის „დასავლეთი“, რომელიც რურუას და მელიას პოლიტპატიმრებად მიიჩნევს, „შეშფოთებულ“ წერილებს ისედაც თითქმის ყოველდღე გვიგზავნის.

თუ „არასამთავრობოების“ მოსალოდნელი რეაქციის გვეშინია, მაგათ ბასილაშვილმა ფედერერს რომ მოუგო, ის არ მოეწონათ, რაც შეეძლოთ იწივლეს და მაგათი მხრიდან ამ „კრიტიკასაც“ გავუძლებთ.

ჰოდა მომკალით და არ მესმის, რატომ არ ვღებულობთ ცილისწამებისა და სიცრუის გავრცელების წინააღმდეგ კანონს?

გია გაბრიჭიძე,
(ტელ. 555591668)

ქუთაისში ნამახვანჰესის მშენებლობას ისევ აპროტესტებენ

ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე ხალხმრავალი საპროტესტო აქცია გაიმართა ნამახვანჰესის მშენებლობის წინააღმდეგ. აქციაში მონაწილეობდნენ რიონის ხეობის დამცველები, გარემოს დაცვის აქტივისტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩასული მოქალაქეები.

აქციის მონაწილეები ჰესების მშენებელი კომპანია „ენკას“ მიერ რიონის ხეობის დატოვებას და იმ ნებართვის გაუქმებას ითხოვენ, რომელიც ხეობაში ჰესის მშენებლობას ითვალისწინებს, ასევე, ეწინააღმდეგებიან თურქული კომპანიისთვის მიწების 99 წლით გასხვისებას. რიონის ხეობის მოსახლეობის პროტესტი, ჰესის მშენებლობის წინააღმდეგ, სოფელ ჟონეთსა და ნამოხვანში 141-ე დღეა გრძელდება. მთელი ამ დროის განმავლობაში, რიონის ხეობის მოსახლეობის ნაწილი ღამეს კარავში ათევს.

აქციის მონაწილეების მოთხოვნებს გუშინ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ნათია თურნავას გადადგომის მოთხოვნა დაემატა. აქციის მონაწილეები ხელმოწერებს შეაგროვებენ. აქციის ორგანიზატორების ინფორმაციით, აქციის მონაწილეების ნაწილი ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე მთელი ღამის განმავლობაში დარჩება. ასევე შეიქმნება ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთს ჩაენაცვლებიან სოფელ ნამოხვანში გაშლილ კარვებში ღამის გასათევად.

ნათია თურნავა: ეროვნული ინტერესებისთვის ერთობ დამაზიანებელია...

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ნათია თურნავა ნამახვანჰესის მშენებლობის წინააღმდეგ ქუთაისში მიმდინარე აქციას გამოეხმაურა.

„უნდა გავმიჯნოთ ორი რამ: ერთია დიალოგის სურვილი იმისთვის, რომ პროექტი უკეთესი გახდეს, ბევრი წუხილი, რომელიც არსებობს, იყოს გათვალისწინებული, ჩვენ ამას ყოველთვის მივესალმებით და მეორე ნაწილი არის ის, რომ „პროექტი არ გვინდა, საერთოდ, ჰესები არ გვინდა!!! მათ ამ მსჯელობაში, რა თქმა უნდა, ვერ შევყვებით, მაგრამ მზად ვართ, ავხსნათ, თუ რამდენად დამაზიანებელია ქართული, ეროვნული ინტერესებისთვის საკუთარი ენერგორესურსების არგანვითარება და იმპორტზე მზარდი დამოკიდებულება. მინდა, გამოვთქვა სურვილი, რომ მალე, ქუჩიდან ეს საუბრები გადაინაცვლებს სამუშაო ფორმატში. ამისთვის ჩვენ მზად ვართ“.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების ახალი სტრატეგიის და 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით გამართულ ონლაინ შეხვედრას დაესწრო.

„სოფლის მეურნეობის სფეროში მცირე და საშუალო წარმოების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სწორად იყოს შეფასებული ის პერსპექტივები, საჭიროებები და მოლოდინები, რაც აღნიშნულ დარგში არსებობს. ვფიქრობ, ახალი სტრატეგია დაგვეხმარება როგორც მცირე და საშუალო ბიზნესის, ასევე სოფლის მეურნეობის ცალკეული მიმართულებების უფრო სწრაფი ტემპით განვითარებასა და იმ შესაძლებლობების შექმნაში, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნეტო ექსპორტიორი ქვეყანა გახდეს“, – აღნიშნა გიორგი ხანიშვილმა.

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერითა და ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობით მიმდინარეობს. ამ ეტაპზე, სამუშაო ჯგუფი აქტიურად მუშაობს სამოქმედო გეგმის დახვეწასა და კორექტირებაზე.

ვინც თქვენს შორის უცოდველია, პირველად მან ესროლოს ქვა!..



მე არ ვიცი, როგორ ემზადებოდა ოპოზიცია „შინაგანად“ მოლაპარაკების ამ ბოლო, გადამწყვეტი ეტაპისთვის, გარეგნულად კი ეს მზადება ერთობ უჩვეულოდ და უღირსად გამოიყურებოდა, ყოველ შემთხვევაში თუ იმ გარემოებებს გავითვალისწინებთ, რაც ბატონი შარლ მიშელის ჩამოსვლიდან ბატონ კრისტიან დანიელსონის ჩამოსვლამდე განვლილ კრიტიკულ ორ კვირაში ჩვენს საკუთარ ტყავზე ვიწვნიეთ.

ეს იყო ხმაურიანი აქციების, დიალოგის მეორე მონაწილის თავშეუკავებელი ლანძღვის ფერადოვანი გირლიანდი. ამ გირლიანდში პირდაპირ ძაღლყურძენას აკიდოსავით ჩანს „TV პირველის“ საქმენი საგმირონი. იგი პირდაპირ ბულდოგივით ჩააფრინდა სამოქმედო სქემას და ქვა ქვაზე არ დატოვა. დღესაც ძველებურად რომ აჯილდოებდნენ, მაგალითად, ტელეწამყვანი ინგა გრიგოლია ნაღდად ლენინის ორდენს დაიმსახურებდა. მარტო ის პერფორმანსი რად ღირს, ინგამ და მისმა მეწყვილემ ეკა მიშველაძემ რომ წარმოადგინეს შავი კაბებით და უმაკიაჟო, მგლოვიარე სახეებით.

„TV პირველი“ დღემდე მართლაც გმირულად იცავს თავს – გარს იკრებს საზოგადოებას, კოლეგებს ხელისუფლების შესაკავებლად, რომელიც მის შენობაში შეჭრას და დარბევას ლამობს, თუმცა, სწორედ ხელისუფლებამ განმარტა საჯაროდ, რომ არავითარი თავდასხმა არავის გაუვლია გულში.

სხვათა შორის, მოხდა საინტერესო ამბავი: ოპოზიცია იმდენად გაიტაცა ხელისუფლებასთან სამკდვრო-სასიცოცხლო შერკინებამ, ბრძოლის ახალ-ახალი ფორმების ძიებამ, რომ სრულიად დაავიწყდა ციხეში გამომწყვდეული ნიკანორ მელია, რომელიც თუ მეუფე იაკობის სიტყვებს მივუსადაგებთ, „ვერც განდი გახდა უცხოელებისთვის, ვერც მანდელა და ვერც სერვანტესი“ (ოღონდ, თუ განდი და მანდელა სადღაც რაღაცაში მისახვედრია, აი, სერვანტესი რა შუაშია, ვერ მივხვდი) და რომლის დაპატიმრების გამოც, კაცმა რომ თქვას, ავარდა აწინდელი კრიზისის ალი.

ზემოთ ნახსენებმა ძაღლყურძენას აკიდომ, რომ იტყვიან, პირდაპირ ოქროთი სავსე ღამის ქოთანს მიაგნო: 2010 თუ 2011 წლებში გაკეთებული ფარული აუდიოჩანაწერებიდან შეკოწიწებული ბრალდება ბიძინა ივანიშვილის ვაჟის ბერას (მაშინ 15-16 წლის ბიჭის) მიმართ, რომელიც, თურმე, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა (მაშინ ფონდ „ქართუს“ პრეზიდენტის) და სპეცსამსახურის მაღალჩინოსნის ანზორ ჩუბინიძის (მაშინ ბიძინა ივანიშვილის პირადი დაცვის უფროსის) საშუალებით აშანტაჟებდა და ატერორებდა თავის თინეიჯერ თანატოლებსო.

ბერა ივანიშვილიო?! ირაკლი ღარიბაშვილიო?!

და ატყდა, მაგრამ რა ატყდა!

ტელეეკრანი პროტესტმა წალეკა. მუშტებს იქნევენ არა მარტო საგანგებოდ დაგეშილი, ყმაწვილობის ასაკს გადაცილებული ჯეელები, არამედ ოპოზიციის აქციებში გამოჯეკილი ასაკოვანი „ქალბატონები“ და „ბატონები“. პოლიტიკოსები ხომ სულ კარუსელზე შესხდნენ: უწყვეტ რიგად დაადგნენ ტელევიზიების გზას. გმობენ, მოითხოვენ რეჟიმის შეცვლას, კბილებს უკრაჭუნებენ „თავხედ“ ბერა ივანიშვილს, როგორ თუ გაბედე და განაცხადე, ვინმემ რომ დედა-ჩემს ან ჩემს ოჯახს შეურაცხყოფა მიაყენოს, დღესაც პასუხს მოვთხოვო. რას ჰქვია, პასუხს მოვთხოვო, ე.ი. ტერორიზმისკენ მოგვიწოდებსო... ახალგაზრდა „სამოქალაქო აქტივისტების“ მობილურად მოქმედი რაზმი ივანიშვილებს აუვარდა სოლოლაკში უცენზურო ღრიანცელით, კოლექტიურად აგინა შვილსაც და მამასაც.

ვითომ ნაცების რუსთაველ ყოჩს დავით კირკიტაძეს უგრძეს, ხანჯალივით წაწოპწოპებულ ფეხსაცმელზე, რომლის მსგავსსაც შუა საუკუნეების ევროპულ გრავიურებზე თუ ნახავთ, გამიზნულად რომ დაადგას ვინმემ ფეხი ან გივია თარგამაძეს, რომელიც ერთ დროს სისინით გვემუქრებოდა, სულს ამოგხდით, თქვე ნაძირლებოო, მეზობელმა რომ გასცხოს იმ გასიებულ ყბაში, ან ერთი ან მეორე ვითომ პოლიციელის მოსაძებნად გაიქცევა სლუკუნით, მცემენ, ძიაო?

ერთი სიტყვით, ყველამ, ვინც უკმაყოფილოა „ქართული ოცნებით“ ან უბრალოდ ფეხისხმასაა აყოლილი, ქვა და ღორღი მიაყარა ხელისუფლებას.

რომან გოცირიძემ ბრძნული მაქსიმა გვაჩუქა, ოპოზიციამ, რაც შეეძლო, გააკეთა, ხელისუფლებამ, რაც შეეძლო, გააფუჭაო.

თაკო ჩარკვიანმა მოკლედ და შხამიანად დაასკვნა: ეს აუდიოჩანაწერი დანაშაულის წახალისებაა, ქვეყნის სათავეში მანიაკები სხედან, ხელისუფლება სასწრაფოდ უნდა გადავცეთ საზოგადოებასო.

დავით აქუბარდიამ ღეჭვით დაარტყა ბეჭედი: ღარიბაშვილი უკვე გვამია, ტრუპია, ის ბერა ივანიშვილის შნირი ყოფილაო...

ქმარს არც ცოლი ჩამორჩა, სამარცხვინოდ, უსახური „კავკასიის“ დირექტორ-ტელეწამყვანი ნინო ჯანგირაშვილი დაუფარავი იმედით, ხარბად ეკითხებოდა სტუმრად მყოფ გედევან ფოფხაძესა და ანი მიროტაძეს, ამ ამბით ხომ დამთავრდება „ქართული ოცნება“, ბიძინა ივანიშვილი ხომ ნამდვილად ვერ გაუძლებს ამ დარტყმასო. ისინიც თავის ქიცინით უდასტურებდნენ, რა თქმა უნდაო!

კახა კუკავას პარტიის ენამჭევრი სპიკერი, ქუთაისის სირცხვილი გოგია წულაია ხლიჩინებდა: თუ „ქართული ოცნება“ დროზე არ წავა, „TV პირველი“ სხვა ჩანაწერებსაც გამოაქვეყნებს და დედას უტირებს. აი, ეკრანიდან გაგინებ, ბერა, მოდი, აბა, რას მიზამო...

ერთი სიტყვით, ზოგი ასე უბერავს, ზოგი ისე უბერავს„ მთელ ამ ბაკქანალიაში, ჩემი აზრით, ყველაზე გულის ამრევია ორი „დანოსი“ ევროპარლამენტში. მოგეხსენებათ, 9 მარტს იქ გაიმართა დებატები საქართველოში პოლიტიკურ კრიზისზე, სადაც ითქვა, რომ ამ კრიზისის გაჭიანურებამ, შესაძლოა, ძირი გამოუთხაროს საქართველოს დემოკრატიასო. დებატების დაწყებამდე ევროპარლამენტმა სხვა წერილებთან ერთად საქართველოდან სალომე სამადაშვილის და შალვა ნათელაშვილის გზავნილებიც მიიღო.

ჩვენი გამოცდილი „დიპლომატი“ სალომე სამადაშვილი წერს, რომ ფარული ჩანაწერების გაკეთება საქართველოში ძალაუფლების გამოყენების ყველაზე გავრცელებული სახეა.

„დიდი ქართველი ლეიბორისტის“ შალიკო ნათელაშვილის დასმენას გრძელი და შთამბეჭდავი სათაური აქვს: „კრიმინალური პორტფოლიო ბიძინა ივანიშვილზე, საქართველოს დეფაქტო მმართველზე, პრეზიდენტ პუტინის ახლო გარემოცვის წევრზე, „გაზპრომის“ აქციონერზე, რომელიც ჩართულია ფულის გარეცხვასა და რუსული იარაღით უკანონო ვაჭრობაში“. ავტორი ადრესატს ეაჯება, როდესაც დაწვრილებით ანგარიშს წარუდგენთ სპეციალურ კომიტეტს რუსი ოლიგარქებისა და მაღალჩინოსნების შესახებ, იმ სიაში შეიყვანეთ ბიძინა ივანიშვილიც, გაუყინეთ საბანკო ანგარიშები და შეწყვიტეთ მისი კომპანიების საქმიანობა ევროპის ქვეყნებში, ეს არის ქართველი ხალხის თხოვნა. თქვენი დახმარების გარეშე ჩვენ არ ძალგვიძს კრემლით და რუსული მილიარდებით ზურგგამაგრებული დიქტატორის გაუვნებელყოფაო.

ასეთია ნათელაშვილის „მამულიშვილური“ გულის ძგერა, რასაც ქართველი ხალხის თხოვნით ნიღბავს. არ დაგვავიწყდეს, ეს ის პოლიტიკოსი ნათელაშვილია, რომელიც ეუთო-ოდირის მიერ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დადებითად შეფასებამ ისე გადარია, რომ ევროდამკვირვებლებს საჯაროდ უძახა კორუმპირებლები – საქართველო მაგათი დაღუპულიაო, 30 წელია, აქ ფულის საკეთებლად ჩამოდიანო.

მართლაც რა საცოდავი ხარ, შალიკო უბედურიო!!!

მოკლედ, ყველამ, ვისაც არ ეზარებოდა, თქვა თავისი სეფე სიტყვა. განსაკუთრებით მკაცრი და შეუვალი იყვნენ ქართველი ლედი თეთჩერი ნინო ბურჯანაძე და მისი ვაჟი ანზორიკო ბიწაძე. ერთ-ერთი ასეთი ტელედაგმობის დროს, როცა ქ-მა ნინომ ხატზე გადასცა ბერა და მისი ოჯახი, შესადარებლად გაიხსენა 2011 წელს გაკეთებული ფარული აუდიოჩანაწერი, სადაც ჩანს, როგორ მოითხოვს დედა-შვილი ხალხის მსხვერპლს . ის აუდიოჩანაწერი ფაბრიკაცია იყო ჩვენი სახელის გასატეხად, მაგრამ სიმართლემ იზეიმა, მალე გამჟღავნდა მისი არაავთენტურობა და ამიტომ არც არაფერში ითვლებაო.

სდექ! აშკარად ცრუობ, გაქსუებულო ქალბატონო, უფრო სწორად, თავის დაძვრენას ცდილობ!..

თქვენს „პალიტრა ნიუსის“ ეთერში მგზნებარე გამოსვლამდე ორიოდე დღით ადრე აჭარის ტელევიზიის გადაცემაში „თავისუფალი სივრცე“ საქართველოს ყოფილმა შს მინისტრმა გიორგი ბარამიძემ საქვეყნოდ განაცხადა, 2011 წლის აუდიოჩანაწერი ნინო ბურჯანაძესა და მის ვაჟზე აბსოლუტურად ავთენტიკურია, არავითარი ფაბრიკაციაო.

თუ მართლაც მსხვერპლს მოითხოვდნენ, რატომ არ დაიჭირეთ? – ჰკითხა გადაცემის წამყვანმა ბარამიძეს. იმიტომ, რომ ეს პოლიტიკურ ნაბიჯად ჩაგვთლებოდაო, უპასუხა. ანუ არ გვინდოდა, პოლიტიკური პარტიის ლიდერი დაგვეჭირაო. ბოლოს კი განაცხადა, ბურჯანაძეს შეუძლია, ჩემი ნათქვამი გასაჩივროსო.

ესეც შენი „არაავთენტიკურობა“...

ანგარიშგასაწევია, რომ ეს მხილება ეკუთვნის კაცს, რომელიც ძალიან მძაფრად, მტკივნეულად განიცდის მის ნათქვამში ეჭვის შეტანას. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ბატონი გიორგი და ქალბატონი ნინო თანამოაზრენი არიან, ერთ ნავში სხედან, ოპოზიციის ერთ ქვაბში იხარშებიან.

ამ პოლიტიკოსი დედა-შვილის ხმაშეწყობილ დუეტს სწორედ რომ მიესადაგება ერთი ანეკდოტი, რომელიც უკვე ორჯერ შეგვახსენა „პოსTV“-ის გადაცემამ „სამნი და კო“:

ეზოში ბავშვები თამაშობენ. აივნიდან ქალი ჩამოსძახის: – ანზორიკო, ამოდი!

ეზოდან: – რატომ, მშია?

– არა, დედიკო, გეძინება!

ათიანშია მორტყმული!

P. S. იესომ, როცა მრუშობაზე წასწრებული ქალი მიუყვანეს, რომელიც რჯულის კანონით უნდა ჩაექოლათ, თქვა: „ვინც თქვენს შორის უცოდველია, პირველმა მან ესროლოს ქვა.“

ბევრს დაავიწყდა მაცხოვრის ეს შეგონება და ჯიბე-უბე ქვებით გამოიტენა, რათა ნებისმიერ დროს თვითონ მრუშმა და ცოდვილმა მოწოდებისთანავე ნებისმიერს დაუშინოს...

ალეკო ასლანიშვილი

დაგვიხსნის ძალა მესამე?

ყინვაა, ხანაც ხვატია,
ქვაზე ეშმაკი ხატია
და ჩვენდა გასაოცებლად,
წლეულს ისეთი მარტია,
როგორც „ნაცების“ პარტია,
წაკიდებული „ქოცებთან“.

„რადგან იმედის დროცაა,
ნუ გვწირავთ დასახოცავად!“ –
ჩამესმის ხალხის კვნესა მე.
არადა, რაკი ესა ვართ,
ჩიხიდან, რაშიც დღესა ვართ,
დაგვიხსნის ძალა მესამე?

ალექსანდრე შენგელია.

2021 წლის 13 მარტი.

№ 53-54. ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ-ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 15-16 ᲛᲐᲠᲢᲘ, 2021 ᲬᲔᲚᲘ.

ᲡᲐᲓ ᲒᲐᲥᲠᲐ ᲗᲐᲚᲚᲘᲗᲘ

ᲖᲐᲖᲐ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ?!

ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲑᲐᲢᲝᲜ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲝᲛᲔᲚᲐᲣᲠᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲐᲗᲔᲘᲖᲛᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ

ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲫᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘ ᲘᲛᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲑᲠᲑᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲚᲐᲮᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ, ᲓᲐᲜ�გᲠᲘᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲘ, ᲩᲐᲛᲝᲐᲒᲓᲝ ᲖᲐᲠᲔᲑᲘ, ᲒᲐᲘᲢᲐᲪᲐ ᲯᲯᲕᲐᲠ-ᲮᲐᲢᲔᲑᲘ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪᲚᲡᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲓᲒᲝᲑᲐᲓ. ᲑᲠᲑᲝᲛ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ �პᲚᲐᲢᲤᲝᲠᲛᲐ „ᲣᲛᲦᲛᲔᲠᲗᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ“ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲧᲝᲑᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲐᲗᲔᲘᲖᲛᲘᲗ... ᲑᲠᲑᲝ ᲘᲭᲔᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲡᲐᲕᲓᲐ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲞᲘᲠᲔᲑᲡ, ᲐᲘᲫᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲓ ᲣᲐᲠᲔᲧᲝᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲛᲘᲡᲘᲐ, ᲞᲠᲔᲡᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲔᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲜᲐᲗ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ: „ᲕᲘᲮᲓᲘ ᲐᲜᲐᲤᲝᲠᲐᲡ!.“ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲞᲘᲠᲔᲑᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲮᲔᲠᲮᲔᲑᲘᲗ ᲣᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲡ, ᲐᲞᲐᲢᲘᲛᲘᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲮᲕᲠᲔᲢᲓᲜᲔᲜ... ᲛᲐᲠᲗᲝ 24-37 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 200 ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲮᲕᲠᲔᲢᲘᲚᲘ...

...ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ, ᲐᲗᲔᲣᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲫᲐᲚᲐᲡ ᲘᲙᲠᲔᲑᲓᲐ, ᲤᲔᲠᲤᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲒᲔᲑᲝᲓᲐ, ᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ. ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲐᲓ ᲙᲘ ᲑᲠᲑᲝ ᲘᲡᲔᲕ ᲣᲢᲔᲕᲓᲐ, ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲐᲓ ᲗᲐᲛᲐᲨᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲘᲡᲢᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐ, ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲒᲐᲕᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲪᲮᲐᲓᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ, ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲣᲚᲐᲓ ᲛᲐᲘᲜᲪ, ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲐ: ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲓᲘᲐᲜ, ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ (ᲣᲙᲕᲔ ᲐᲠᲐ ᲤᲐᲠᲣᲚᲐᲓ) ᲜᲐᲗᲚᲐᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲯᲯᲕᲐᲠᲡ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝᲓ ᲘᲬᲔᲠᲔᲜ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲐᲚᲗᲐ ᲗᲣ ᲫᲐᲚᲝᲕᲐᲜ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ... ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ, ᲐᲗᲔᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ. ᲔᲠᲗᲜᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲝᲡᲐᲣᲑᲠᲔᲜᲘ, ᲕᲘᲗᲝᲛᲓᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲮᲔᲓᲣᲚᲜᲘ, ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲔᲜ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲘᲔᲠᲐᲠᲥᲗᲐ ᲣᲒᲣᲚᲔᲑᲔᲚᲧᲝᲤᲐᲡ. ᲛᲔᲢᲘᲪ, ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠ ᲨᲔᲢᲔᲕᲐᲖᲔᲪ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲐᲜ. ᲐᲠᲔᲣᲚᲘᲐ ᲢᲧᲣᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲐ, ᲢᲠᲐᲕᲛᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲠᲔᲕᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲑᲠᲙᲝᲚᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲕᲔ ᲜᲔᲑᲘᲗ, ᲤᲐᲠᲘᲡᲔᲕᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲘᲗ ᲛᲝᲬᲐᲛᲚᲣᲚᲘ, ᲒᲐᲠᲔᲒᲐᲜᲘ ᲫᲐᲚᲓᲐᲢᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ, ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲨᲝᲠᲓᲔᲑᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲬᲘᲐᲦᲡ.

ᲓᲦᲔᲡ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲣᲦᲘᲠᲡᲗᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲘᲡᲛᲘᲡ ᲝᲓᲔᲡᲦᲐᲪ ᲔᲡᲝᲓᲔᲜ ᲡᲐᲙᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ: ᲔᲠᲘ, ᲛᲐᲛᲣᲚᲘ, ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲑᲐ, ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐ, ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ... ᲔᲠᲗᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲘᲡ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ: ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲖᲛᲘ ᲐᲕᲐᲜᲒᲐᲠᲘᲡᲢᲗᲐ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲐᲝ... ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲠᲬᲛᲔᲜᲐᲪ ᲦᲘᲠᲡᲗᲐ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲣᲤᲐᲡᲣᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ, ᲣᲤᲐᲡᲣᲠᲓᲔᲑᲐ ᲪᲜᲔᲑᲔᲑᲘᲪ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲪᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲪ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲐᲗᲔᲘᲡᲢ-ᲤᲐᲠᲘᲡᲔᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐ: ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲕᲘᲗᲝᲛᲓᲐ, ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲔᲜᲘ, ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲜᲐᲮᲐᲓ ᲞᲘᲠᲯᲕᲐᲠᲘᲗ ᲘᲬᲔᲠᲔᲜ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ... ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲮᲔᲓᲣᲚᲜᲘ, ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲔᲜ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲐᲗᲔᲘᲡᲢ-ᲤᲐᲠᲘᲡᲔᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲔᲑᲨᲘ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲡ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲓᲐ... ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲡᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲓᲐ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲔᲑᲘ, ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘᲡ ᲗᲣ ᲢᲧᲐᲕᲘᲡ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲔᲑᲘ, ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲐᲚᲑᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲕᲐᲓᲔᲑᲖᲔ, ᲒᲕᲐᲩᲕᲔᲜᲐ ᲑᲐᲜᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ Ა. Ш... ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲡ ᲘᲥᲐᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲘᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲛᲘᲡᲓᲐᲛᲘ ᲣᲜᲓᲝᲑᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲘᲒᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲣᲚᲐᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ... ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲓᲔᲢᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲝᲓᲘᲗ...

ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲜᲘᲜᲝᲡ ᲓᲔᲓᲐᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲠᲔᲕᲚᲛᲐ, ᲘᲔᲣᲛᲔᲜᲘᲐ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲘᲗ, ᲐᲛ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲡᲐᲕᲐᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲣᲠᲘ ᲐᲚᲑᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ. ᲛᲔ ᲐᲛ ᲐᲚᲑᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲝᲑᲐ ᲛᲐᲜᲓᲔᲡ. ᲔᲡ ᲨᲕᲘᲓᲐᲡᲡᲐᲛᲝᲪᲓᲐᲐᲗᲓᲒᲕᲘᲔᲠᲓᲘᲐᲜᲘ, ᲘᲚᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ,ᲛᲐᲦᲐᲚ ᲞᲝᲚᲘᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲪᲔᲛᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲛᲖᲐᲓᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲠᲔᲕᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲛᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲔᲡ ᲓᲐᲡᲢᲐᲛᲑᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲗᲐᲜᲮᲐ 10 000 ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲨᲔᲔᲒᲠᲝᲕᲔᲑᲘᲜᲐᲗ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ �გᲐᲛᲘᲩᲜᲓᲐ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ „�გᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“ ᲖᲐᲖᲐ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲣᲐᲜᲒᲐᲠᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲨᲔᲡᲗᲐᲕᲐᲖᲐ. ᲛᲐᲜ ᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲐ, „ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ“ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ — ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲔᲑᲘ, ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘᲡ ᲗᲣ ᲢᲧᲐᲕᲘᲡ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲔᲑᲘ, ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲐᲚᲑᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲕᲐᲓᲔᲑᲖᲔ, ᲒᲕᲐᲩᲕᲔᲜᲐ ᲑᲐᲜᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ Ა. Ш... ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲡ ᲘᲥᲐᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲘᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲛᲘᲡᲓᲐᲛᲘ ᲣᲜᲓᲝᲑᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲘᲒᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲣᲚᲐᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ... ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲓᲔᲢᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲝᲓᲘᲗ...

ᲠᲐᲡ თუ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲡ“ᲠᲐᲪᲐᲪ ᲛᲐᲥᲘᲜᲐᲪᲘᲔᲑᲘᲗ, ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲔᲛᲔᲜ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲡᲐᲤᲐᲡᲣᲠᲘᲗ ᲐᲠᲘᲒᲔᲑᲔᲜ.

ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲔᲬ. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲖᲔ ᲛᲝᲒᲘᲗᲮᲠᲝᲑᲗ, ᲕᲘᲡ, ᲐᲡᲔ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲓ ᲓᲐᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲤᲘᲠᲛᲐᲡ ᲗᲣ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲡ ᲮᲛᲐᲛᲐᲦᲚᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘ ᲘᲛᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲑᲠᲑᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲚᲐᲮᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ, ᲓᲐᲜᲗᲒᲠᲘᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲘ, ᲩᲐᲛᲝᲐᲒᲓᲝ ᲖᲐᲠᲔᲑᲘ, ᲒᲐᲘᲢᲐᲪᲐ ᲯᲯᲕᲐᲠ-ᲮᲐᲢᲔᲑᲘ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪᲚᲡᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲓᲒᲝᲑᲐᲓ. ᲑᲠᲑᲝᲛ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲚᲐᲢᲤᲝᲠᲛᲐ „ᲣᲛᲦᲛᲔᲠᲗᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ“ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲧᲝᲑᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲐᲗᲔᲘᲖᲛᲘᲗ... ᲑᲠᲑᲝ ᲘᲭᲔᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲡᲐᲕᲓᲐ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲞᲘᲠᲔᲑᲡ, ᲐᲘᲫᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲓ ᲣᲐᲠᲔᲧᲝᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲛᲘᲡᲘᲐ, ᲞᲠᲔᲡᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲔᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲜᲐᲗ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ: „ᲕᲘᲮᲓᲘ ᲐᲜᲐᲤᲝᲠᲐᲡ!.“ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲞᲘᲠᲔᲑᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲮᲔᲠᲮᲔᲑᲘᲗ ᲣᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲡ, ᲐᲞᲐᲢᲘᲛᲘᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲮᲕᲠᲔᲢᲓᲜᲔᲜ... ᲛᲐᲠᲗᲝ 24-37 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 200 ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲮᲕᲠᲔᲢᲘᲚᲘ...

...ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ, ᲐᲗᲔᲣᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲫᲐᲚᲐᲡ ᲘᲙᲠᲔᲑᲓᲐ, ᲤᲔᲠᲤᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲒᲔᲑᲝᲓᲐ, ᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ. ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲐᲓ ᲙᲘ ᲑᲠᲑᲝ ᲘᲡᲔᲕ ᲣᲢᲔᲕᲓᲐ, ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲐᲓ ᲗᲐᲛᲐᲨᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲘᲡᲢᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐ, ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲒᲐᲕᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲪᲮᲐᲓᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ, ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲣᲚᲐᲓ ᲛᲐᲘᲜᲪ, ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲐ: ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲓᲘᲐᲜ, ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ (ᲣᲙᲕᲔ ᲐᲠᲐ ᲤᲐᲠᲣᲚᲐᲓ) ᲜᲐᲗᲚᲐᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲯᲯᲕᲐᲠᲡ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝᲓ ᲘᲬᲔᲠᲔᲜ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲐᲚᲗᲐ ᲗᲣ ᲫᲐᲚᲝᲕᲐᲜ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ... ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ, ᲐᲗᲔᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ. ᲔᲠᲗᲜᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲝᲡᲐᲣᲑᲠᲔᲜᲘ, ᲕᲘᲗᲝᲛᲓᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲮᲔᲓᲣᲚᲜᲘ, ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲔᲜ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲘᲔᲠᲐᲠᲥᲗᲐ ᲣᲒᲣᲚᲔᲑᲔᲚᲧᲝᲤᲐᲡ. ᲛᲔᲢᲘᲪ, ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ ᲬᲘᲐᲦᲡ.

ᲓᲦᲔᲡ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲣᲦᲘᲠᲡᲗᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲘᲡᲛᲘᲡ ᲝᲓᲔᲡᲦᲐᲪ ᲔᲡᲝᲓᲔᲜ ᲡᲐᲙᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ: ᲔᲠᲘ, ᲛᲐᲛᲣᲚᲘ, ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲑᲐ, ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐ, ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ... ᲔᲠᲗᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ Პ

სმენის გასაოცარი სამყარო...

მედიცინის სხვადასხვა სფეროში ქართული სკოლების მიერ მიღწეული წარმატებები საყოველთაოდაა ცნობილი. საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით არაერთი მსოფლიო სახელის მქონე კლინიკაა შექმნილი. ერთ-ერთი ასეთი, უდავოდ, მეტად ავტორიტეტული აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრი გახლავთ, რომლის დირექტორს, ამ დარგის სამეცნიერო კვლევების ერთ-ერთ ფუძემდებელს, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ზურაბ ქევანიშვილს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

აუდიოლოგია – ესაა სწავლება სმენის შესახებ, რომლის კლინიკური კვლევის საგანს მისი დარღვევის ეტიოლოგია და პათოგენეზი, მათი დიფერენციალური და ტოპიკური დიაგნოსტიკა, ჰაბილიტაცია და რეაბილიტაცია, მკურნალობის მეთოდები, პროფილაქტიკა, აგრეთვე ფუნქციური კომპენსაცია და სათანადო მეცნიერული საფუძვლები წარმოადგენს.

წარმატებული სამედიცინო სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის აკადემიკოსი ზურაბ ქევანიშვილი დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის და ღირსების ორდენებით, საუკუნის ვარსკვლავის მედლით, 2019 წელს კი საერთაშორისო რეიტინგ-ასოციაციამ მას „წლის ლიდერის“ სერტიფიკატი მიანიჭა.

მისი ხელმძღვანელობით, გარდა ქართველი მეცნიერებისა, სადოქტორო დისერტაციები დაიცვეს გერმანელმა, რუსმა, უკრაინელმა და პოლონელმა მკვლევარებმა, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ აუდიოლოგიაში და კვლავაც განაგრძობენ ქართველ სპეციალისტთან სამეცნიერო ურთიერთობას.

სასიქადულო მეცნიერსა და პრაქტიკოს ექიმს, აკადემიკოს ზურაბ ქევანიშვილს აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრში ვეწვიეთ.

– ბატონო ზურაბ, თუ შეიძლება, ორიოდე სიტყვა გვითხრათ თავად აუდიოლოგიის, როგორც მედიცინის დარგის წარმოშობის შესახებ.

– აუდიოლოგია შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა, რომელიც, როგორც პრაქტიკულ-კლინიკური დისციპლინა, 1949 წელს, სტოკჰოლმში აუდიოლოგთა საერთაშორისო კონფერენციაზე გაფორმდა. მანამდე კი, პრაქტიკული აუდიოლოგიის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულა ეროვნებით უნგრელმა, გამოჩენილმა ამერიკელმა ფიზიკოსმა, ბიოფიზიკოსმა და ფიზიოლოგმა **ჯორჯ ფონ ბეკეშმა,** რომელმაც სმენის ზღურბლის განსაზღვრის ხელსაწყო – ბეკეშის აუდიომეტრი დაამუშავა. აუდიოლოგიის თეორიულ საფუძველს კი უახლესი, ნატიფი მორფოლოგიური და ელექტროფიზიოლოგიური მონაცემების ანალიზი წარმოადგენს, რაც საშუალებას გვაძლევს, შევისწავლოთ სმენის ანალიზიტორის (პერიფერიიდან თავის ტვინის ქერქამდე) მოქმედება ნორმასა და პათოლოგიაში.

– როგორია აუდიოლოგიის, როგორც მედიცინის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების, ჩვენში ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია?

– 1960-იან წლებში, მას შემდეგ, რაც ასევე ეროვნებით უნგრელმა, გამოჩენილმა ამერიკელმა ფიზიოლოგმა **ი. გამბოშმა,** სხვადასხვა ექსპერიმენტული კვლევის შედეგების პრაქტიკულ მედიცინაში დანერგვა შეძლო, შეიქმნა პირობები ყურის ლოკოკინასა და სმენითი ნერვის ღეროს იმპლატანტების დასამზადებლად. აღნიშნულ კვლევათა სტერეოტაქსურ მეთოდებს შორის განსაკუთრებით მინდა გამოვყო სმენითი ნერვის გაღიზიანებისა და შემდგომ იმპულსის თავის ტვინის ქერქის სათანადო უბნამდე მოძრაობის თვალის გადევნების ხერხი, რაც მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის აუდიოლოგიაში სამეცნიერო კვლევათა რაობაზე.

ამან და კიდევ რიგმა სხვა გარემოებამ, ჩვენში აუდიოლოგიისადმი ინტერესი გააღვივა და იმ დროიდან მოყოლებული დღევანდლამდე ის ჩემი პროფესიული ინტერესების სფეროს წარმოადგენს. თავდაპირველად კი სამეცნიერო კვლევები ამ მიმართულებით ჩვენი გამოჩენილი მეცნიერის, აკადემიკოს **სიმონ ხეჩინაშვილის** მეთვალყურეობით მიმდინარეობდა, რომლის მოწაფეობა ჩემთვის უაღრესად საამაყოა.

– ცხოვრების რა გზა გამოიარა აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრის დირექტორმა, აკადემიკოსმა ზურაბ ქევანიშვილმა?

– მშობლები ექიმები მყავდა: მამა – შამშე ქევანიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ცნობილი მეცნიერი და პედაგოგი, თსსუ-ს ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის პროფესორი იყო, დედა – ნატა ლობჟანიძე – ცნობილი თერაპევტი, გამოჩენილი ექიმი, პროფესორ გიორგი მხეიძის მარჯვენა ხელი გახლდათ.

1965 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩავირიცხე, სადაც აქტიურად ჩავები სმენის ფიზიოლოგიის კვლევებში, რაც, არსებითად, აუდიოლოგიის საფუძველს წარმოადგენს. 1969 წლიდან მოყოლებული კი მუშაობა საქართველოს აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრში დავიწყე, სადაც სამეცნიერო კარიერის ყველა საფეხური განვვლე. 1989 წლიდან კი მისი დირექტორი გახლავართ. ამასთან, წლების მანძილზე ვმუშაობდი თსსუ-ს ოტოლარინგოლოგიის კათედრის ჯერ დოცენტად, შემდეგ პროფესორად, აგრეთვე ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოტოლარინგოლოგიის კურსის პროფესორად.

– როგორია თქვენი, როგორც სამამულო აუდიოლოგიის ერთ-ერთი პირველი გზამკვლევის სამეცნიერო თვალსაწიერი, რა წარმატებებს მიაღწიეთ ამ წლების განმავლობაში?

– ვარ 406 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის სამი მონოგრაფიის ავტორი. ყველა მათგანი აღინიშნა მეტად პრესტიჟული ჯილდოთი, მათ შორის საქართველოს სახელმწიფო, ასევე ივანე ბერიტაშვილისა და ივანე თარხნიშვილის სახელობის პრემიებით. გარდა ამისა, არც იმას მინდა ავუარო გვერდი, რომ პრემია მიღებული მაქვს ასევე საზღვარგარეთის სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებისთვის და, რამდენადაც ვიცი, სპეციალურ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიების სერიისთვის ასე საგანგებოდ ვინმე სხვა სწავლული არ დაუჯილდოებიათ!

ჩემი სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებულია მაღალი რეიტინგის მქონე ჟურნალებში ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ, რუსულ და ბულგარულ ენებზე, ცხადია, ქართულ პერიოდიკაშიც. მათი თანაავტორები კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის (ძირითადად, გერმანიის) ცნობილი მეცნიერები არიან.

ვამაყობ იმითაც, რომ ოთხ ასეულზე მეტი ჩემი სამეცნიერო ნაშრომიდან, დაახლოებით ნახევარი ინგლისურადაა დაწერილი. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ სადღეისოდ ინგლისური არა მარტო ყოველდღიური საერთაშორისო ურთიერთობების, არამედ სამეცნიერო იდეებისა და გამოცდილების გაზიარების საყოველთაოდ მიღებული ენაა. ამიტომაც, ვფიქრობ, რომ თუ კაცს გინდა, რომ შენი ქვეყნის სახელი საზღვრებს გარეთ გაიტანო და საკუთარი მიღწევები უცხოელ კოლეგებს გააცნო, ინგლისური ენის გარკვეულ დონეზე ფლობა აუცილებელზე აუცილებელია! სიმართლე გითხრათ, ჩვენში, ფაქტობრივად, არ მეგულება კაცი, რომელსაც ორი ასეული სამეცნიერო ნამუშევარი მედიცინაში ინგლისურად ჰქონდეს დაწერილი.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ძალიან ბევრი სამეცნიერო ნაშრომი (ასზე მეტი) გერმანიაში, იქაურ კოლეგებთან თანაავტორობით მაქვს შექმნილი. ესეც თავისებური რეკორდია – ათეულობით წლის განმავლობაში საქართველოში საკმაოდ ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით არაერთი გერმანელი სპეციალისტი ჩამოდიოდა და ახლაც ინტენსიური საქმიანი კონტაქტები გვაქვს.

– რამდენადაც ვიცი და აკი თავადაც აღნიშნეთ, რომ გერმანიაში სამეცნიერო მოღვაწეობას და კოლეგებთან მჭიდრო თანამშრომლობას ძალიან დიდი ადგილი უკავია თქვენს მეცნიერულ მუშაობაში, მას არაერთგზის განსაკუთრებული გამოხმაურება მოჰყვა იქაურ სამედიცინო წრეებში. იქნებ ამის შესახებაც ვუამბოთ ჩვენს მკითხველს.

– გერმანიის წამყვან სამედიცინო ცენტრებში, მათ შორის მიუნჰენში, დრეზდენში, მაგდებურგში, სხვაგან, სხვადასხვა ხანგრძლივობის სამეცნიერო მივლინებებში არაერთხელ ვყოფილვარ, რა დროსაც იქაურ კოლეგებს ჩემთვის არაჩვეულებრივი მასპინძლობა გაუწევიათ. მარტო ის რად ღირს, რომ ამ მივლინებების დროს ჩემი ორი იუბილე საგანგებოდ აღნიშნეს – ერთი, როცა 60, ხოლო მეორე კი როცა 65 წლისა შევსრულდი! ამ თარიღებთან დაკავშირებით სახელობითი სამეცნიერო სიმპოზიუმებიც მოაწყვეს – შესაბამისად, ერთი – მაგდებურგში (2001 წელს), მეორე – დრეზდენში (2006 წელს). დრეზდენის სამეცნიერო ფორუმისთვის საგანგებოდ სპეციალური პლაკატიც კი გამოუშვეს, რომელზეც ქალაქის რუკასთან ერთად „ყურში“ ჩემი პორტრეტია ჩასმული!

– მედიცინის ზოგიერთი, მეტ-ნაკლებად პოპულარული თემის შესახებ საზოგადოების უმეტესი ნაწილის ინფორმირებულობის დონე ზოგჯერ საკმაოდ მაღალია, მაგრამ, ფაქტია, რომ აუდიომეტრიის სფეროს შესახებ ბევრ ჩვენგანს საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. ამდენად, ვფიქრობთ, სმენის გარკვეული ასპექტების თაობაზე მეტი ინფორმაციის მიღება უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტისგან ჩვენი მკითხველისთვის მეტად საინტერესო იქნება.

– ადამიანის ჯანმრთელობისთვის სმენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ამის შესახებ, როგორც სავსებით მართებულად აღნიშნეთ, ბევრმა საერთოდ არაფერი იცის. არადა, ყოველი ჩვენგანისთვის მისი როლი განუზომლად დიდია.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ობიექტური აუდიომეტრია, ანუ სმენის განსაზღვრა, თავის დროზე არა მარტო სსრ კავშირში, არამედ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებშიც არ იყო განვითარებული. საქართველოში კი მისი სამეცნიერო კვლევები, ჩემი მასწავლებლის, აკადემიკოს სიმონ ხეჩინაშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო. თავდაპირველად ჩვენ შევქმენით ლაბორატორია, რომელიც მოგვიანებით აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრად ჩამოყალიბდა.

სმენის თავისებურებებისა და მნიშვნელობის შესახებ გარკვეული წარმოდგენა რომ შეგექმნათ, მაგალითისთვის გეტყვით, რომ გენდერული მიმართულებით ჩატარებული კვლევების შედეგად პრაქტიკოსმა ექიმებმა დაადგინეს, რომ ქალებისა და მამაკაცების სმენა ერთმანეთისგან განსხვავებულია, ამასთან, მოხერხდა ამ განსხვავებათა მიზეზების დადგენაც. გაირკვა ისიც, რომ მამაკაცებში სმენის დაქვეითება, ქალებთან შედარებით, 5-8 წლით ადრე იწყება. სამაგიეროდ, უფრო ხანდაზმულ ასაკში სმენის დაქვეითების ტემპი ქალბატონებში შედარებით სწრაფად მიმდინარეობს, შემდგომ, 70 წლისთვის, პროცესების სიჩქარე თანაბრდება, ხოლო მერე კი მამაკაცებისაზე ჩქარა ვითარდება.

ნორმალურ სმენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ინტელექტუალური განვითარებისთვის, ამიტომაც მისი პათოლოგიის დადგენასა და სათანადო ზომების დროულად მიღება სასიცოცხლოდაა აუცილებელი, ვინაიდან დაგვიანებას შესაძლოა, სავალალო შედეგი მოჰყვეს.

– ეს საკითხი, რამდენადაც ვიცით, საქართველოში მაღალ დონეზეა გადაწყვეტილი – მკურნალმა ექიმებმა საგრძნობლად შეამცირეს სმენის დეფექტების მქონეთა ოდენობა, რაც დადებითად აისახა ბავშვების ნორმალურ გონებრივ განვითარებაზე. ამასთან, ცნობილია, რომ სწორედ პირადად თქვენი გარჯის შედეგია, რომ ჩვენში სმენის აპარატების ხელმისაწვდომობა, უპირველესად სხვა ქვეყნებთან შედარებით სიიაფის გამო, განუზომლად მაღალია. როგორ შეძელით ასეთი კარგი შედეგის მიღწევა?

– ჯერ კიდევ 1990-იან წლებში სასმენი აპარატების საქვეყნოდ ცნობილი ფირმის „კინდჰიორგერატემ“ საქართველოში აუდიოლოგიის ცენტრის ბაზაზე თავისი ფილიალი შექმნა, რასაც მის დამფუძნებელსა და პრეზიდენტს, ბატონ **მარტინ კინდს** უნდა ვუმადლოდეთ. მეამაყება, რომ მასთან კოლეგიალურის გარდა, მეგობრული ურთიერთობებიც მაკავშირებს, რომლებიც მაგდებურგში თითქმის წლინახევრის მუშაობის დროს ჩამოგვიყალიბდა. მან გასაოცარი რამ მითხრა: – საქართველოდან მოგების მიღება არ მაინტერესებს, უბრალოდ, მინდა დახმარება გაგიწიოთო! ჰოდა, სწორედ ამ დახმარების წყალობაა, რომ სასმენი აპარატები ჩვენში გაცილებით იაფი ღირს, ვიდრე... თავად გერმანიაში!

სიამაყის კიდევ ერთი მიზეზი ჩემთვის ისიც გახლავთ, რომ აქტიურად ვმონაწილეობდი იმ საქმიან მოლაპარაკებებსა და კონტაქტებში, რომელთა შედეგად გერმანიისა და ნიდერლანდის აუდიოლოგთა ასოციაციებმა უსასყიდლოდ გადმოგვცეს ძვირადღირებული სმენის საზომი ხელსაწყოები, ასევე ბავშვებისთვის განკუთვნილი სმენის აპარატები.

– ზოგადად, რა ვითარებაა საქართველოს მოსახლეობაში სმენის სრულფასოვნებისა თუ პათოლოგიების დონის მხრივ, რა არის ის რისკ-ფაქტორები, რომლებიც ამ მხრივ საფრთხეს უქმნის ჩვენს ჯანმრთელობას?

– სამწუხაროდ, სმენის დაქვეითების დონით საქართველო ერთ-ერთი მაღალი რისკ-ფაქტორიანი ქვეყანაა. ზოგადად თუ ვიტყვით, სმენის ხარისხზე უაღრესად ცუდად მოქმედებს თამბაქოს მოწევა, რომლის მოხმარების დონითა და მწეველთა პროცენტული მაჩვენებლით ევროპაში მეორე ადგილზე ვიმყოფებით ალბანეთის შემდეგ.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო ისიც, რომ თამბაქოს მოხმარება ძალიან ცუდად მოქმედებს ასევე მხედველობასა და სასქესო ორგანოებზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში, ვთქვათ, სკანდინავიის ქვეყნებთან შედარებით, თამბაქოს მწეველთა ოდენობა დაახლოებით 4-5-ჯერ უფრო მეტია. ამასთან, თუკი იქ გენდერული პარიტეტი მწეველებში მეტ-ნაკლებად დაცულია, ჩვენში თამბაქოს მომხმარებელი მამაკაცების რიცხოვნობა გაცილებით მეტია. ამდენად, ვფიქრობ, რომ თამბაქოს ანტირეკლამა ჩვენში გაცილებით ეფექტიანი იქნება, თუკი მოსახლეობას გავაგებინებთ, რომ თამბაქოს მოწევა არა მარტო სმენასიჩლუნგის მიზეზი ხდება, არამედ ძალზე უარყოფითად აისახება მამაკაცების პოტენციაზე და თვალისჩინსაც აკლებს, ვიდრე იმის თქმა, რომ სახის კანზე ნაოჭების გაჩენას უწყობს ხელს, როგორც ამას დასავლეთში აკეთებენ.

დაბოლოს, რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ჩვენში საყურისებით მუსიკის მოსმენის თაობაზე. ჩვენი გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ მუსიკის საყურისებით სისტემატური მოსმენა მნიშვნელოვნად აქვეითებს არა მხოლოდ სმენის ხარისხს, არამედ ადამიანის ყურადღებასაც, რასაც არაერთი სავალალო შედეგი მოჰყვა. ამიტომაც საჭიროა მუსიკის არა მხოლოდ საყურისებით მოსმენისას ზომიერების დაცვა, არამედ საამისოდ შესაფერისი გარემოსა და ვითარების შერჩევაც. იმედი მაქვს, რომ ჩვენი ახალგაზრდები, რომლებსაც მუსიკის მოსმენა ხშირად ტრანსპორტში, ქუჩაში, საზოგადოებრივი თავშეყრის ხალხმრავალ ადგილებში უყვართ, ამ მამაშვილურ დარიგებას საწყენად არ მიიღებენ.

ესაუბრა
ოთარ ტურაბელიძე

გაგზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულითადად ულოცავს აკადემიკოს ზურაბ ქევანიშვილს დაბადებიდან 80 წლისთავს, ჯანმრთელობასა და კვლავაც წარმატებული სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის გაგრძელებას უსურვებს მას.

„ფერი იცვალე ერო ჩემო, იცვალე ფერი!..“

შესავლის მაგივრ

რისი დეფიციტია დღეს მსოფლიოს ნებისმიერ კონტინენტზე?!

— ადამიანის!!!

უფლის სახეებად შექმნილმა ადამიანმა, რა პირობებშიც და გარემოშიც არ უნდა გაზრდილიყო, დაკარგა ნება, შენარჩუნებინა ადამიანობა!

ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში დიოგენე დადიოდა ანთებული ლამპარით დღისით-მზისით და საზოგადოებაში ეძებდა ადამიანურ ადამიანს!

სამარცხვინოა ის, რომ ეს განსაკუთრებით საქართველოში იგრძნობა, რადგან სწორედ იმ გზას — ჩვენი წინაპრების სისხლით გაკვალულ გზას — შევაქციეთ ზურგი. ლევან სანიკიძის სიტყვებით რომ ვთქვათ: სამწუხაროდ, საქართველო იჩოქებდა: — „შურით, ჯიბრით და პატივმოყვარეობით შეპყრობილობის“ გამო.

„არც შენი გაცოდინა და არც სხვისი გაგაგებინაო“ — ესეც ჩვენზეა ნათქვამი.

ერს, რომლისთვისაც წარსული — მხოლოდ არაფრის მთქმელი წარსულია; აწმყო — ბრძოლის ასპარეზი და საშუალება საკუთარი მომავლის შენებისა, ავიწყდება, რომ მარტო კაცი ჭამაშიაც ცოდოაო.

...თუ ვინმე ფიქრობს — ხვალინდელი დღეც მისია, ცდება! გუშინ, დღეს, ხვალ არის მხოლოდ უფლის ყოვლადწმიდა სამებისა!

დრონი მეფობენ...

მართალია, ზოგიერთებს დღევანდელი „ერთად დგომა“ ხიბლავს, მაგრამ ავიწყდება, რომ სანამ ერთმანეთს დაერევიან, გონს მოვიდნენ. „რასაც იფიქრებთ სხვაზედა, აგიცხადდებათ თავზედაო“... უფალი ყველას და ყველაფერს ხედავს. იმ ფარისეველ მორწმუნეთა „დიდ სოფელში“ ყველა წავალთ. მთავარია, რითი?!

„თუ შეგწევს ძალა ბრბოში იყო და დარჩე, მეფეებს ახლდე და გახსოვდეს ყოველი ხალხი, შენი ღირსება არ დაკარგო აროდეს არსად, ცრუ გაუტანელს არ მიაგო სიცრუე ავი და თანაც, ქრისტედ არ აჩვენო არავის თავი, ადამიანიც მაშინ გქვია და გერქვას... ამინ“. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ და კარგად გაითავისეთ რედიარდ კიპლინგის ეს ლექსი და გახსოვდეთ: „მხოლოდ ღვთის და ურთიერთ სიყვარული გადაგვარჩენს“ (ილია II).

* * *

თავისუფლება ეს არის თავის ფლობა! დავუბრუნდეთ და მივენდოთ უფლის ჭეშმარიტ გზას — გულწრფელად! — რომ გადარჩეს და გაიბრწყინოს საქართველომ თავის მრავალეროვან, მოსიყვარულე, ერთგულ შვილებთან ერთად. საქართველოში სულიერი და ხორციელი მშვიდობა უნდა სუფევდეს, რამეთუ, „ადამიანის სული ისე მძიმეა, რომ თუ ერთმანეთს ხელს არ შევაშველებთ, დავობლდებით... მარტონი დავრჩებით“. ნ. დუმბაძე.

* * *

მთავარზე მთავარი საზრუნავი უნდა იყოს მომავალი თაობის სწორი აღზრდა, რის საფუძველთა საფუძველიც არის მათში მართლმადიდებლური სულისკვეთების გაღვიძება და რელიგიურობისკენ მობრუნება, ეს არის ერთადერთი გზა ხსნისა.

დღეს თითქოს შეიგრძნობა გარკვეული გააქტიურება ახალგაზრდების მხრიდან, მაგრამ ამას ქაოტური ხასიათი აქვს, რადგან ისინი ეძებენ სულის საზრდოს და ეს გეგმაზომიერად უნდა მიეწოდოს ოჯახიდან დაწყებული ყველა სასწავლო დაწესებულების მიერ, ნებაყოფლობით, ისეთი თანმიმდევრობით, წმინდანთა ცხოვრების მაგალითების გათვალისწინებით, რომ თვითონ კი არ ეძებონ ახალგაზრდებმა, არამედ რელიგიური ცოდნით უკვე გაჯერებულები, სულიერი რწმენით, სულიერი მოთხოვნილების შეგნებით ეზიარონ იმ სიწმინდეს, რასაც ქართული მართლმადიდებლური სარწმუნოება ჰქვია და რაც დაგვიბრუნებს ჩვენს საქართველოში მცხოვრებთ და თვით ქართველებს ჩვენი ცხოვრების გზის მთავარ მიზანს — „ენა, მამული, სარწმუნოება“.

შეშფოთებული მრევლი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ეკლესიებში ზოგიერთი მღვდელი ამბიონიდან ცდილობს გავლენა მოახდინოს მრევლზე. ყოველივე ეს ორმაგი თამაშის სურათს ქმნის, რაც ჩირქს ცხებს ეკლესიას, ზემოქმედებს მერყევ მორწმუნეზე და მიუღებელია ჭეშმარიტი მართლმადიდებლისთვის.

„მე არასდროს ვყოფილვარ ანგელოზი, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი ვყოფილიყავი ადამიანი“ — ასე მიმართა წერილობით **ჩარლი ჩაპლინმა** თავის ქალიშვილს ჯერალდინას.

— სამწუხაროა, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა დემოკრატიისთვის არ არის მზად.

— „ქრისტე ჯვარს ეცვა არა ანგელოზებისთვის, არამედ მოყვასისთვის“.

— „გონიერი არსებისთვის მოყვასის სიყვარული უზენაესი კანონია“.

— ნუ შეიზღუდებით მჭიდრო საზღვრით, თავისუფალი აზროვნება შეუწყვეთ რელიგიურს;

— ვისაც სასწაულის არ სჯერა, ვერასდროს იხილავს მას, სასწაული სიმართლეშია (**როალდ დალი**, მწერალი).

— არასდროს უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაღალი ფასეულობაა არა სიტყვების წარმოთქმა, არამედ მათ შესატყვისად ცხოვრება **(ჯონ კენედი)**.

— ჩვენი ამჟამინდელი მადლიერების გრძნობის გავლენა მეტია, ვიდრე წარსული. ... **(ბერნარ შოუ)**.



— „ფერი იცვალე ერო ჩემო, იცვალე ფერი. გახდი მამაცი, უფრო თბილი, უფრო მზისფერი— უფალმა თიხას რომ შთაბერა, სწორედ იმფერი“...

ცოდნა სხვაა, განათლება - სხვა!..

ჩვენი საზოგადოება დიდი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა — არაკვალიფიციურობა, არაპროფესიონალიზმი, გაუნათლებლობა — „ჭუჭყიანი ქაფივით“ მოადგა თავზე ჩვენს დღევანდელობას და როგორი მკაცრიც არ უნდა იყოს ეს შეფასება — დღევანდელობის რეალობას ვერსად გავექცევით.

თუ რამ ცუდი იყო საზღვარგარეთიდან, ყველაფერი გადაგვედო და ის, რაც გვესაჭიროებოდა ან შეიძლებოდა გადმოგვეღო, უკან მოვიტოვეთ, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩვენი ეროვნულობის შენარჩუნებასა და მის განმტკიცებაზე. ამ დროს სულ არ არის საჭირო რაღაც ახლის ძიება, მთავარი ხომ ჩვენშია ჩადებული: მშობლებში, როგორ აღვზრდით და არა გავზრდით ჩვენს შვილებს. ამ შემთხვევაში მე პედაგოგებსაც მშობელში ვგულისხმობ, რადგან ბავშვისადმი საწინააღმდეგო მიდგომამ, ვხედავთ, სადამდე მიგვიყვანა, ხოლო მთავარი კი მაინც თითოეულ ბავშვთან ინდივიდუალური მიდგომაა. არ შეიძლება ყველას ერთნაირად მოვთხოვოთ და ერთ ჩარჩოში მოვათავსოთ...

დავიწყოთ ოჯახით. მართალია, დღეს მშობელი ძალიან დაკავებულია მატერიალურ-ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, მაგრამ შვილებთან უკონტაქტობა, მათი ცხოვრების გაუთვალისწინებლობა, მისი სულის სიმტკიცეში დაუხმარებლობა, რაც თავისთავად მართლმადიდებლურ სარწმუნოებასთან მჭიდრო კავშირში უნდა მოხდეს, გვაკარგვინებს, გვაუცხოებს ჩვენს განძთან, ჩვენს შვილებთან და შემდეგ ამ გაუცხოებულ პიროვნებას უჭირს კონტაქტი სხვა ადამიანებთან. ის განიცდის სულიერ შიმშილს, რასაც ვეღარ ივსებს გარედან და თავისთავად შემდეგში სკოლაცა და უმაღლესი სასწავლებელიც უსუსურ მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე მის წინაშე, რამეთუ თავად მას არა აქვს გათავისებული ადამიანის სულიერებისთვის აუცილებელი დედა ეკლესიის, ჯანსაღი რწმენის განმტკიცების, ჩვენი მართლმადიდებლობის რეალური საფუძველი! ნებისმიერი ადამიანის მიერ ელემენტარული 10 მცნების დაცვას აუცილებლად უნდა მოჰყვეს მჭიდრო კავშირი ეკლესიურ ცხოვრებასთან, რადგან შეუძლებელია სულის ქრისტიანული რწმენით გაჯერებული ადამიანი დამნაშავედ იქცეს, რაც ასე „ყვავის“ დღეს ჩვენს საზოგადოებაში და რასაც ასე ხშირად „ქადაგებენ“, ჩვენდა საუბედუროდ, პრესა თუ ტელევიზია;

ამდენი უხამსობის, მკვლელობებისა თუ არაჯანსაღი ცხოვრების წესის ნამდვილ „ქადაგებათა“ ნაყოფს ვიმკით დღეს და მერე გვიკვირს, ვილაცას ეს როგორ შეეხო, ან როგორ მოუვიდაო, ხოლო თუ ვინმემ შეძლო არ ჩაფლულიყო ამ „წუმპეში“, თავი საზღვრებს გარეთ შეაფარა. უბრალო ბავშვის დაბადების დღე რომ ავიღოთ, როგორ ვიხდით — დიდები ქეიფობენ, თვრებიან და ბავშვის სულიერი სამყარო რჩება უყურადღებოდ. განა ეს კარგი მაგალითია? მე არ მინდა ვთქვა, რომ დღეს არა გვყავს კარგი და ჯანსაღი ახალგაზრდობა, რომ ყველაფერი დაკარგულია, უბრალოდ, მე მინდა საზოგადოებამ გავითავისოთ, თუ რას ვაძლევთ ჩვენს შვილებს, რით ვასაზრდოებთ სულიერად და როგორ პირობებს ვუქმნით მორალური თვალსაზრისით იმისთვის, რომ ჩვენმა მომავალმა თაობამ მაინც შეძლოს ჯანსაღი საზოგადოების შექმნა. ჩვენ ვალში ვართ ჩვენს შვილებთან ჩვენი არასწორი ცხოვრებითა და ჩვენი ინერტულობით, სულ ველოდებით, რომ ყველაფერი სხვამ უნდა გააკეთოს, რომ ეს ჩვენ არ გვეხება, და ასე თაობიდან თაობას გადაეცემა ქცევის არასწორი ნორმები. წინათ ქუჩაც კი თავისებურ „სკოლას“ წარმოადგენდა და ერთგვარ სასიკეთო გავლენას ახდენდა მოზარდის აღზრდაზე, ფასი ჰქონდა წესიერებას, აღზრდას, ვაჟკაცობას, კდემამოსილებას. დღეს — ავტორიტეტი არის ქურდი, უსწავლელი, მოძალადე, ვინც ამ მღვრიე ცხოვრების ჭაობში ადვილად შეძლებს „თევზის დაჭერას“ — ყოველგვარი მორალის გარეშე და ეს ყველაფერი დაგვატყდა თავს სწორედ იმის გამო, რომ ზურგი შევაქციეთ და მკრეხელურად მოვექეცით ჩვენს ეროვნულობას, სული ეშმაკს მივყიდეთ და დავივიწყეთ მთავარი — „ენა, მამული, სარწმუნოება“, რითაც მოვედით დღემდე. ახალგაზრდობა ხელიდან გვეცლება და ვერ ვხვდებით, რომ გამოსავალი მხოლოდ ერთია — გზა მართლმადიდებლური სარწმუნოებისკენ — თუ რწმენას დავიბრუნებთ, ყველაფერი თავისთავად აღდგება.

* * *

ბავშვებს ბავშვობა არ უნდა წავართვათ, რადგან სწორედ ეს ფსიქოლოგიური სტრესი შემდგომში აჩენს უარყოფით შედეგებს, რასაც ასე ხშირად ვაწყდებით მოზარდების მხრიდან. მათი სიუხეშე, დაუნდობლობა, გამეტება გარკვეულწილად სწორედ ამ გადატვირთვის და დაუძლეველი მასალის, ხოლო შემდეგში ჩამორჩენილი მოსწავლის „ავტორიტეტის“ ფონზეც ხდება.

საქართველოს ისტორიას ვასწავლით გაკვრით და საზღვარგარეთისას – ზედმიწევნით! ისწავლოს, ბატონო, როცა ისტორიის ფაკულტეტზე ჩააბარებს, უმაღლეს სასწავლებელში, თანაც სახელმძღვანელოების უმრავლესობა არის ისეთი ნათარგმნი, რომ აზრის გამოტანა მოზრდილ ადამიანსაც უჭირს და მოზარდს რა უნდა მოვთხოვოთ?! ნუთუ ძნელია, როცა ამდენი განათლების მუშაკი გვყავს, ამდენი გადამზადების კურსები არსებობს და ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ბავშვს არ დავუკარგოთ ბავშვობა და მე-2 კლასის მოსწავლეს ერთდროულად არ ვასწავლოთ სამი უცხო ენა, ანდა ნუთუ „ვეფხისტყაოსანი“ ასე უაზროდ დასაზეპირებელი შედევრია, რომ დაბალ კლასებში ვაიძულებთ ისწავლონ?!

ჩემი წერილის სათაურად ავირჩიე ცოდნა და განათლება – იმიტომ, რომ მათ შორის ძალიან დიდი განსხვავებაა და როდესაც სასწავლო დაწესებულებებში მოღვაწეობენ მხოლოდ მცოდნე, მაგრამ ნაკლებად განათლებული ადამიანები, ეს ძალიან უარყოფით გავლენას ახდენს ჩვენს მომავალ თაობაზე. წინათ თავადიშვილებს გლეხებს მიაბარებდნენ აღსაზრდელად, იმიტომ, რომ ის გლეხი სულით წმინდა და განათლებული იყო, მასში ისე იყო გამჯდარი ქრისტიანული სარწმუნოება, რომ ბავშვის სულისთვის აუცილებელს წარმოადგენდა. განა თავადებს აკლდათ რწმენის სიწმინდე, მაგრამ აქ ლაპარაკია იმ შინაგან განათლებაზე, იმ უბრალოებასა და ადამიანურობაზე, რაც ასე მოჭარბებულად შეიმჩნეოდა თითქოსდა მაშინდელი დაბალი ფენის წარმომადგენლებში. განა ჩვენი კლასიკოსი მწერლები ტყუილად მიმართავდნენ მათი ცხოვრების დაწვრილებით აღწერას და გადმოცემას, რომ **მარტო ცოდნა სულიერი განათლების გარეშე ვერაფერი შვილია, რასაც ასე მრავლად ვაწყდებით დღევანდელ ცხოვრებაში. როგორი ცოდნით დახუნძლულ ადამიანებს არ ვხვდებით, მაგრამ მათში შინაგანი განათლების, სულიერების ნატამალიც არ შეიმჩნევა. ნათქვამია, ცივი გონება და თბილი გულიო, მაგრამ ესენი ცივი გულის მატარებლები არიან და ეს არის ის დიდი უბედურება, რასთანაც ურწმუნოებამ მიგვიყვანა.**

* * *

ძალიან ბევრი პრობლემა შეიძლება ჩვენი ბავშვების აღზრდის საკითხში იქნეს წამოჭრილი, თითქოს ყველაფერი ნაცნობს და ასჯერ გამეორებულს ჰგავს, მაგრამ საქმის საკეთილდღეოდ არაფერი კეთდება.

ჩვენი მთავრობის, ჩვენი ხელმძღვანელობის, განათლების სისტემის, თითოეული ჩვენთაგანის მთავარზე მთავარი საზრუნავი უნდა იყოს მომავალი თაობის სწორი აღზრდა;

ვერაფერს ვიტყვით კარგს იმ ვიდეოთამაშებზე, სადაც ყოველი მკვლელობით და ყაჩაღობით მოგებული თამაში ბავშვებს ახალისებს ქულებისა და ვითომ ოქროების დაგროვებით და გამარჯვების თანრიგებით. თუკი ასეთი თამაშები და პორნოფილმები სხვა ქვეყნებში ფასიანია – დაკვეთით, ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლია ამ მხრივ მაინც დავეხმაროთ მომავალ თაობებს, რომლებიც კოლექტიურადაც მისდევენ ამ თამაშებს; ჩემმა შვილიშვილმა მითხრა: ბებო, ეს მართლა სისხლი კი არ არისო?! მე კი ვეცადე ამეხსნა, მაგრამ ბავშვმა შეიძლება ცხოვრებაშიც თამაშად ჩათვალოს, გაუაზრებლად...

დარეჯან ხუხუნაიშვილი.
(ტ. 598795020)

თბილისში ებრაული კულტურისა და მემკვიდრეობის დაცვისა და ხელშეწყობის ევროპული ასოციაციის AEPJ-ის ახალი პროექტის – Parallel Traces გამოფენა გაიხსნა, რომელიც ევროკავშირთან თანამშრომლობით, Creative Europe – პროგრამის ფარგლებში შეიქმნა.

ამოვიყვანოთ მზე, რომელიც გაანათებს მომავალს!!!

კულტურის ექსპორტი საქართველოს მიმართ

გამოფენის ორგანიზატორია „ისრაელის სახლი“, რომელიც საქართველოში ევროსაბჭოს მიერ სერტიფიცირებული ებრაული კულტურული მემკვიდრეობის მარშრუტის ოფიციალური წარმდგენია.

სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის თბილისს ეწვივნენ ებრაული კულტურისა და მემკვიდრეობის დაცვისა და ხელშეწყობის ევროპული ასოციაციის AEPJ-ის დირექტორი ვიქტორ სორენსენი და სტუმრები ევროპის ექვსი ქვეყნიდან. ღონისძიებას დაესწრნენ, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრები, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები.

გამოფენის გახსნას ვიდეომიმართვით მიესალმა საქართველოში ევროსაბჭოს ოფისის ხელმძღვანელი **ნატალია ვუტოვა**. ღონისძიების მონაწილეებს პირდაპირი ჩართვით ისრაელიდან მიმართა ქნესეთის წევრმა, იმიგრაციის, აბსორბციისა და დიასპორის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ **დავიდ ბიტამმა**.

გამოფენა „ისრაელის სახლის“ ხელმძღვანელმა **იციკ მოშემ** გახსნა. მისი თქმით, „ისრაელის სახლისთვის“ ებრაული მემკვიდრეობა არ არის წარსულში დაბრუნება. ეს არის კულტურული კოდი, რომლითაც ვაშენებთ მომავალს.

„ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ ვმონაწილეობთ მაღალი დონის კულტურის ექსპორტში საქართველოდან, რასაც ჰქვია კულტურული დიპლომატია. ჩვენ 1 წლის წინ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს გადავეცით ახალი სამუზეუმო ფართი 3500 კვ.მ; ქალაქ ონში გავხსენით ჰოლოკოსტის მონუმენტი, რომელიც არის პირველი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში.

გვჯერა, რომ კულტურული მემკვიდრეობა მნიშვნელოვანია და იზიდავს ტურიზმს.

ტურიზმის შემოსავლის ნაწილი შეიძლება ჩაიდოს კულტურის დიპლომატიაში და კულტურის ექსპორტში, რაც გაზრდის საქართველოს მიმართ ინტერესს, მოიტანს დამატებით ინვესტიციებს და ეს ყველაფერი გაზრდის საქართველოს ეკონომიკასაც“, – აღნიშნა **იციკ მოშემ** და დასძინა: **„კულტურა არის ნაციონალური კონსენსუსი. კულტურა იყო უფრო ადრე, ვიდრე დიპლომატია ქვეყნების ურთიერთობებში“.**

„ჩვენ არ გვაქვს მოდუნების არც ფუფუნება და არც უფლება. სანამ ჩინოვნიკები არკვევენ შუქის ნიშნები რამდენად წარმოადგენს მზეს, ჩვენ, მესამე სექტორს გვევალება დავაჩქაროთ მზე და თუ ეს არაა მზე – ამოვიყვანოთ ის, რომელიც გაანათებს მომავალს“, – განაცხადა იციკ მოშემ.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის თანამშრომლობის მიმართულების ხელმძღვანელის **სიგრიდ ბრეტელის** შეფასებით, ეს გამოფენა არის ევროპული მემკვიდრეობის ერთ-ერთი ნათელი მხარე, რადგან საქართველოს აქვს ღრმა და დიდი ებრაული მემკვიდრეობა. ქვეყანაში მოღვაწეობს ბევრი ნიჭიერი ხელოვანი. ეს კარგია ევროპული კომუნიკაციისთვისაც.

პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის წევრის, **ელისო ბოლქვაძის** თქმით, სიმბოლურია, რომ ამ გამოფენას მასპინძლობს საქართველო, ქვეყანა, რომელიც არის მდიდარი კულტურითა და კულტურული მემკვიდრეობით და ასევე აქ შემორჩენილია დიდი ებრაული კულტურული მემკვიდრეობა.

„იუნესკოს მშვიდობის არტისტის რანგში მე პირადად ვმონაწილეობდი ისრაელის სახლის მიერ ქნესეთის წევრებთან ერთად ორგანიზებულ ღონისძიებებში საქართველოსა და ისრაელში. მიმაჩნია, რომ ასეთი აქტივობები ხელს უწყობს საქართველოს მრავალმხრივ წარმოჩენას, გარე სამყაროსთან მჭიდრო კავშირების ჩამოყალიბებას და რაც მთავარია, სამართლიანად იმის ხაზგასმას, რითიც საქართველო ყოველთვის ამაყობს – ესაა მაღალი კულტურა და ტოლერანტული განწყობა“, – განაცხადა პარლამენტარმა.

გამოფენა Parallel Traces-ის პროექტის ავტორები მიიჩნევენ, რომ ევროპის ისტორიის განუყოფელი ნაწილის – ევროპული ებრაული მემკვიდრეობის შესახებ ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა მექანიზმის საშუალებით შეიძლება. კერძოდ, ლაპარაკია ფოტოგრაფიული და აუდიოვიზუალური ნამუშევრების შექმნასა და ახალი აპლიკაციის განვითარებაზე. ებრაული მემკვიდრეობის ამსახველი ორიგინალური ციფრული ნამუშევრები, აგრეთვე, მნიშვნელოვანი მხატვრული მასალებია, რომლებიც წარმოდგენილია გამოფენებზე.

პროექტის მონაწილე ქვეყნებია: ბელგია, ლუქსემბურგი, ესპანეთი, სერბეთი, რუმინეთი, პოლონეთი და საქართველო.

გამოფენა თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში (რუსთაველის გამზირი №27) 11 აპრილამდე გაგრძელდება.

წლეულს ეროვნული კინოცენტრი კიდევ 11 ქართულ ფილმს აღადგენს

ეროვნულ კინოცენტრში აცხადებენ, რომ კინომემკვიდრეობაზე ზრუნვა მათი ერთ-ერთი პრიორიტეტია და მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელს პანდემიის გამო რუსეთის ფილმსაცავ „გოსფილმოფონდიდან“ ფილმების საწყისი მასალების ჩამოტანა ვერ მოხერხდა, ტექნიკური სამუშაოები (ფილმების აღდგენა) არ შეჩერებულა.



„ფილმების აღდგენა-რესტავრაციას ეროვნული კინოცენტრი საქართველოს ეროვნულ არქივთან თანამშრომლობით ახორციელებს. 2021 წელს იგეგმება შემდეგი 8 ქართული ფილმის აღდგენა:

ივანე პერესტიანის „სურამის ციხე“; ივანე პერესტიანის „არსენა ჯორჯიაშვილი“, ამო ბეკ-ნაზაროვის „მამის მკვლელი“; ნიკოლოზ შენგელაიას „გიული“; ზაქარია ბერიშვილის „იბრაჰიმი და გოდერძი“; გიორგი მაკაროვის „ქალი ბაზრობიდან“; მიხეილ გელოვანის „ახალგაზრდობა იმარჯვებს“; ლეო ესაკიას „ჰოლტზე“.

რვავე ფილმი 1920-იანი წლების ეპოქას განეკუთვნება, რომელიც გამორჩეული პერიოდია ქართული კინოსთვის.

გარდა ამისა, ეროვნული კინოცენტრი 2021 წელს აღადგენს ისეთი ლეგენდარული ქართველი რეჟისორების ფილმებს, როგორებიცაა:

ელდარ შენგელაიას „შერეკილები“; რეზო ესაძის „ერთი ნახვით შეყვარება“; ალექსანდრე (საშა) რეხვიაშვილის „მე-19 საუკუნის ქართული ქრონიკა“.

ქართული ფილმების საწყისი მასალების სამშობლოში დაბრუნების პროცესი 2016 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით. ამ ეტაპზე რუსეთის ფილმსაცავ „გოსფილმოფონდიდან“ ჩამოტანილია 60-მდე ფილმი, აქედან აღდგენილია 23. წლის ბოლომდე აღდგენილი ფილმების რაოდენობა 34-ამდე გაიზრდება.

დიდი ქველმოქმედის უკვდავსაყოფად

1 კლასიკურ გიმნაზიაში ბადრი პატარკაციშვილის მემორიალური დაფა გაიხსნა. სკოლის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ქველმოქმედებისთვის ბიზნესმენის მემორიალური დაფა ისტორიული სკოლის კედელზე, ცნობილი საზოგადო მოღვაწეების გვერდით განთავსდა.

ღონისძიებას ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წევრები, მეგობრები და სკოლის კურსდამთავრებულები ესწრებოდნენ.

ᲘᲐᲜ ᲑᲠᲔᲛᲔᲠᲘ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲨᲔᲡᲐᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲔᲚᲘ...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲔᲬᲝᲐ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲡᲯᲝᲑᲓᲔᲗ!

„ᲔᲕᲠᲐᲖᲘᲘᲡ ᲧᲐᲖᲣᲨᲘᲡ“ დამფუძნებელი ᲘᲐᲜ ᲑᲠᲔᲛᲔᲠᲘ ამბობს, რომ საქართველო ძალიან პატარა ბაზარია, რომელსაც ინვესტორების მიზიდვა მხოლოდ კარგი მმართველობით შეუძლია. ის ასევე ამბობს, რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისი ქვეყნის საგარეო იმიჯს აზიანებს და რომ ქვეყანამ, რომელიც საერთაშორისო მედიის ყურადღების ცენტრში თითქმის არასოდეს ხვდება, საკუთარ თავს უარყოფით ჰედლაინებში მოხვედრის უფლება უბრალოდ არ უნდა მისცეს.

ᲑᲠᲔᲛᲔᲠᲘ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, რომ დიდი ძალების კონკურენციის ფონზე, საქართველოს სტრატეგიული მდებარეობის მნიშვნელობა დღითი დღე კლებულობს და სწორედ ამიტომ, ქვეყანამ ინვესტორებს ის უნდა დაანახოს, რომ სხვა ქვეყნებზე მეტად სანდო, მეტად დემოკრატიული და მეტად სტაბილურია. მისი თქმით, საქართველოს მსოფლიოსთვის კარგი მმართველობის დემონსტრირების მიღმა შესათავაზებელი ბევრი რესურსი არ აქვს. ᲘᲐᲜ ᲑᲠᲔᲛᲔᲠᲡ „ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲮᲛᲘᲡ“ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲘᲐ ᲛᲔᲣᲠᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ.

— ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, როგორც იცით, პოლიტიკური კრიზისი მიმდინარეობს. ამ პროცესებს ეკონომიკური პრიზმიდან რომ შევხედოთ — კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში, შეიძლება, თუ არა შიდა პროცესებს გავლენა ჰქონდეს უცხოური ინვესტიციების მოძიებაზე?

— ვფიქრობ, ის სიმართლეა, რომ საქართველო ერთი ბეწო ბაზარია, რომ ის ახალი უცნობი ბაზარია და ის სუსტი გულის მქონე ინვესტორებისთვის არაა. მაგრამ, ვინც ასეთ პერიფერიულ ბაზრებს უყურებს, ყველამ იცის, რომ საქართველოს ბიზნესგარემო იმაზე მეგობრულია უცხოური ინვესტიციებისთვის, ვიდრე ყველა სხვა მისი მეზობლის. ეს ყველამ ვიცით. მაგრამ ბოლო წლის და ბოლო კვირების მოვლენები კითხვებს აჩენს, განსაკუთრებით, სასამართლოსთან დაკავშირებით, სასამართლოს პოლიტიზირებასთან დაკავშირებით, იმასთან დაკავშირებით, მოექცევიან თუ არა ინვესტორებს სამართლიანად დავის გაჩენის შემთხვევაში. ქვეყანა ჯერ არ არის ამ ეტაპზე, მაგრამ მე დავიწყებდი იმაზე ნერვიულობას, რომ ახლო მომავალში საქართველო არ მივიდეს იმ ეტაპამდე, როცა მისი, როგორც კორუფციის შედარებით დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნის რეპუტაცია გაქრება.

— ცხადია, შიდა დეტალებზე საუბარს არ გთხოვთ, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი არაერთი კრიზისი გინახავთ ბევრ სხვა ქვეყანაში, სად ხედავთ ჩიხური მდგომარეობიდან გამოსავალს? როგორ შეიძლება ეს კრიზისი დამთავრდეს?

— ვფიქრობ, საქართველოში, განსაკუთრებით, რუსეთის სამხედრო ჩარევის ისტორიის გათვალისწინებით, ვერ ვხედავ იმის ალბათობას, რომ საქართველო უცებ მოსკოვის მოკავშირე გახდეს. ეს არ მგონია, შესაძლებელი იყოს, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა საქართველოს ევრო-ატლანტიკური თეატრის მიმართ ერთგულება აქვს დადასტურებული. ამასთან, შეერთებული შტატები და ევროპა საქართველოს ჯერ ისევ მნიშვნელოვან მხარდაჭერას უცხადებენ. თუმცა, ვფიქრობ, დიპლომატიური ურთიერთობები დაძაბული იქნება. ამერიკელები და ევროპელები საქართველოს სანქციებს არ დაუწესებენ იმის გამო, რომ ეს რუსეთთან ურთიერთობაში მათ პოზიციას შეასუსტებს. მაგრამ ისინი არ იქნებიან კმაყოფილი ამ შედეგით. საქართველოს წარმატება მათთვის მნიშვნელოვანია.

რა აქვს საქართველოს? მახსოვს, მაგისტრატურაზე რომ ვსწავლობდ, ასე ვამბობდით, რომ სომხებს დიასპორა ჰყავთ, აზერბაიჯანელებს ნავთობი აქვთ, საქართველოს კი შევარდნაძე ჰყავსო. ეს სინამდვილეში იმაზე მეტყველებს, რომ ქართველები რთულ სიტუაციაში არიან. მათ ბევრი არაფერი აქვთ, რის შეთავაზებაც საერთაშორისო გარემოსთვის შეუძლიათ. ქართველების წარმატება, ყველაზე მეტად, შედარებით პოლიტიკაზეა დაფუძნებული. მათი წარმატება წვრილი კორუფციის აღმოფხვრა და სხვა მსგავსი ნაბიჯები იყო. ის, რაც დღეს ხდება ჩავარდნაა, რადგან პარტიები საქართველოში პერსონალიების და თეატრის გარშემო აშენდა იმის ნაცვლად, რომ ეს პოლიტიკისა და ინსტიტუტების გარშემო მომხდარიყო. და როცა ასე ხდება, ეს სასამართლოს, სამართალდამცავების დამოუკიდებლობას ძირს უთხრის. მაგალითისთვის, იგივე ხდება დღეს ელ სალვადორში. ეს განსაკუთრებით ისეთი ქვეყნების ინსტიტუტებს ასუსტებს, რომლებიც შედარებით სუსტი და ღარიბია. ეს არის დღეს საფრთხე საქართველოსთვის და მსოფლიოს გარშემო საქართველოს ბევრი მეგობარი, და მათ შორის მეც ვარ, უბრალოდ ინტერესს დაკარგავენ ამ არაჩვეულებრივი, პატარა ქვეყნის მიმართ, თუ მათ ამ გზაზე სვლა გაგრძელეს.

— თქვენ მოკლედ შეეხეთ სანქციების თემას. ივანიშვილის წინააღმდეგ პერსონალური სანქციების დაწესების თემა საქართველოში პოლიტიკური განხილვების მნიშვნელოვან საკითხად იქცა. თქვენ კარგად იცნობთ ამერიკის პოზიციას სხვა მსგავს შემთხვევებში. რამდენად რეალისტურია ბატონი ივანიშვილის წინაალმდეგ პერსონალური სანქციების დაწესება?

— ვფიქრობ, ეს ძალიან არარეალისტურია. ვფიქრობ, როგორც ამერიკელი, ასევე ევროპელი პოლიტიკის მწარმოებლები ამას შეხედავენ როგორც უკუპროდუქტიულს სიტუაციის დეესკალაციის თვალსაზრისით. საქართველო არ არის ირანი, ეს არ არის თურქეთი, რომელიც შეერთებულ შტატებს ბევრ გადაწყვეტილებაში ეწინააღმდეგება. აქ ვსაუბრობთ ქვეყანაზე, რომელიც ნატოსთან და შეერთებულ შტატებთან კიდევ უფრო დაახლოებას ცდილობს. ამიტომ, ვფიქრობ, სანქციებს უკუპროდუქტიულად შეაფასებენ.

— რა არის რისკები, რომლებსაც ინვესტორები ითვალისწინებენ, როდესაც ქვეყანაში შედიან? თქვენ სასამართლოს დამოუკიდებლობა, სამართლიანობის განცდა ახსენეთ. კიდევ რას ითვალისწინებენ ისინი?

— ყველა ინვესტორი მზადაა, რისკზე წავიდეს, მაგრამ მათ ამის სანაცვლოდ ანაზღაურება სურთ. რაც უფრო მაღალია რისკი, მით მაღალია მათი შემოსავლის ზრდის მოლოდინი. თუ საქართველო ვერ სთავაზობს ინვესტორებს წარმოუდგენლად სახარბიელო ზრდას, როგორც პატარა ბაზარი, მაშინ მათ უფრო მეტი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ სხვებს აჯობონ, მაგალითად მარეგულირებელი გარემოს შექმნით. მათ სურთ, იცოდნენ, რომ ფულის ჩადება საქართველოში რადიკალურად არ განსხვავდება კანადაში ფულის ჩადებისგან. ინვესტორებს სურთ, იცოდნენ, რომ ბიზნესსაქმიანობა შესაძლებელი იქნება, რომ იშოვიან მაღალუნარიან დასასაქმებელ ადამიანებს, რომ ინტერნეტი უწყვეტად იმუშავებს, რომ რაღაც მომსახურება არ გაეთიშებათ მთელი ქვეყნის მასშტაბით. მათ სურთ, იცოდნენ, რომ ადგილობრივი პოლიციელი მათ წილში არ ჩაუჯდება, ან რომ ვიღაცას ქვეყანაში არალეგალური ბიზნესი არ აქვს, რომელიც მათი კონკურენტი იქნება. ბევრი სხვა მსგავსი ფაქტორია.

როდესაც საუბრობ ისეთ ქვეყნებზე, სადაც ბევრი ადამიანი არ მოგზაურობს, ფაქტობრივად ისეთ ინვესტორებსა და ადამიანებზე ამყარებ იმედებს, რომლებიც ან იქიდან არიან წარმოშობით, ან უკვე წლებია, იცნობენ ქვეყანას ან ოჯახური კავშირები აქვთ და ასე აქვთ შექმნილი საკუთარი ქსელი და აქედან აქვთ რაღაც სახის უფრო ღრმა კავშირი, რომელიც იმას უზრუნველყოფს, რომ თუ რაღაც პრობლემა გაჩნდა, მისი გადაწყვეტა შესაძლებელი იქნება. როდესაც ინვესტიციას ისეთ ქვეყანაში დებ, როგორიც საქართველოა, წინასწარ იცი, რომ პრობლემები იქნება. ინვესტორისთვის ეს ძალიან განსხვავდება იმ სისტემებისგან, რომლებსაც ისინი მიჩვეული არიან.

კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ეს ძალიან პატარა ბაზარია, რომელსაც დამატებითი რესურსები არ აქვს. თუმცა, საქართველო შედარებით ახალგაზრდა მოსახლეობის მქონე ქვეყანაა, რომელიც საინტერესო ადგილზე მდებარეობს, არაჩვეულებრივი სამზარეულო აქვს, დიდებული ისტორიის მქონე ქვეყანაა და ტურისტებისთვის ძალიან კარგი დანიშნულების წერტილია. ეს ყველაფერი დადებითი ფაქტორებია. მაგრამ საქართველო ერთი ბეწოა, ძალიან პატარაა. ამიტომ, საქართველო ყველას უნდა სჯობდეს. თქვენ რომ ანგოლა იყოთ, არავისზე უკეთესობა არ დაგჭირდებოდათ, უბრალოდ კონტრაქტს მოაწერდით ხელს. ვიღაც მოვიდოდა, მიწიდან რესურსს ამოიღებდა, გაყიდდა და ფულს მოგცემდათ. როცა საქართველო ხარ, რეალურად უნდა შექმნა საინვესტიციო გარემო, რომელიც საერთაშორისო ინვესტორებს შენით გრძელვადიანად დაინტერესებს.

— თქვენ თქვით, რომ საქართველო საინტერესო ადგილზე მდებარეობს. ქართველებს აქვთ შეხედულება, რომ საქართველო ერთ-ერთი ყველაზე სტრატეგიულად განლაგებული ქვეყანაა. ამერიკასა და ჩინეთს შორის დიდი ძალების კონკურენციას თუ გავითვალისწინებთ, სად ხედავთ საქართველოს? სად უნდა ხედავდეს საქართველო საკუთარ თავს სტრატეგიული თვალსაზრისით?

— საქართველოს მდებარეობა უფრო და უფრო ნაკლებად სტრატეგიული ხდება ყოველდღე, ყოველ საათს. დარწმუნებული ვარ, გსმენიათ აზიისკენ გადახრაზე, რაც ობამას დროს გამოცხადებული პოლიტიკა იყო. ეს ახლა ხდება. ბაიდენის ადმინისტრაცია, ისევე როგორც ყველა რესპუბლიკელი, აცნობიერებს, რომ საგარეო პოლიტიკაში ჩინეთთან ურთიერთობა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი კონკურენტი, ყველაზე მნიშვნელოვანი ანტაგონისტია ამერიკისთვის. ამას ის ერთვის, რომ გლობალური ეკონომიკის მიზიდულობის ძალა სწორედ ჩინეთშია. ახლო აღმოსავლეთი ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდება, რუსეთი დაღმავლობის გზაზეა. ეს იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად საქართველო ცივილიზაციების გზაჯვარედინი იყო, დღეს ის გეოპოლიტიკური გარეუბანი ხდება. ეს რეალობა იმას ნიშნავს, რომ ისეთმა ქვეყანამ როგორიც საქართველოა, საკუთარი თავი სხვა მეთოდებით უნდა წარმოაჩინოს. მან საკუთარი ბრენდირება სხვაგვარად უნდა მოახდინოს.

რა არის საქართველო დღეს, როცა შევარდნაძე აღარ არსებობს? ვფიქრობ, რომ დღეს ბევრი რამ აქვს საქართველოს ისეთი, რაც მას საერთაშორისო დონეზე სხვებისგან განასხვავებს. მაგრამ ეს ყველაფერი არ უნდა გადაძალოს იმან, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი დაიჭირეს, რომ არჩევნები არ იყო თავისუფალი და სამართლიანი და რომ ამერიკელები და ევროპელები მიმდინარე პროცესებს აკრიტიკებენ. თქვენ საკუთარ თავს უარყოფით ჰედლაინებში ყოფნის უფლება არ უნდა მისცეთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა თქვენი ქვეყანა საერთაშორისო მედიის ყურადღების ცენტრში თითქმის არასოდეს არის. უბრალოდ მართლა არ შეგიძლიათ.

— საინტერესოა თქვენი ნათქვამი, რომ სტრატეგიულად საქართველო უფრო და უფრო ნაკლებად მიმზიდველი ხდება. შესაძლებელია, რომ რუსეთი ცდილობდეს იმას, რომ საქართველოში არსებული დასავლეთი ბოლომდე შეავიწროვოს და განდევნოს. განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა დღეს რუსეთს სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში ჰყავს ჯარი განლაგებული. რის გაკეთება შეიძლება ამ სცენარის თავიდან ასაცილებლად?

— კიდევ ერთხელ, უკეთესი მმართველობა და დასავლეთისთვის უფრო მეტად მიმზიდველ ქვეყნად ყოფნა. ამის მიღმა საქართველოს ძალიან ცოტა რამ აქვს შესათავაზებელი.

ᲘᲐ ᲛᲔᲣᲠᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ჯანი როდარი

კატებთან ყოფნა უკეთესია

ზღაპარი მოზრდილთათვის

პენსიონერი ანტონიო რკინიგზის სადგურის უფროსად ნამუშევარი კაცია. შინ შვილიცა ჰყავს, რძალიცა და შვილიშვილებიც – თავისი მოსახელე ანტონიო და კუდრაჭა დანიელა, მაგრამ პაპა გინდ ყოფილა და გინდ არა, არავინ არაფრად აღარ აგდებს.

– მახსოვს, წინათ, – დაიწყებს ანტონიო პაპა მოყოლას, – პოჯიბონსის სადგურში რომ ვმუშაობდი...

– დაიცა, მამა, რა დროს ეგ არი, – შეაწყვეტინებს შვილი, – ნუთუ ერთი წყნარად ვერ უნდა წავიკითხო გაზეთი, – ვენესუელის მთავრობა შავ დღეშია, გადადგომაზე აქვს საქმე.

ანტონიო პაპა ახლა რძალს მიუბრუნდა:

– კარგად მახსოვს, ჯერ კიდევ გალარატეს სადგურში...

– მამა, – სიტყვას აწყვეტინებს რძალი, – გადი, გარეთ არ გირჩევნია? სუფთა ჰაერს მაინც ჩაყლაპავ. ხო მიყურებ, იატაკს ვაპრიალებ.

ანტონიო პაპა ვერც თავის მოსახელე შვილიშვილს უბამს ლაპარაკს, ის უკვე თექვსმეტი წლის გიჭია და პაპისთვის სადა სცალია, გამწარებული ჩასცქერის ნათხოვარ წიგნს, რომლის წაკითხვაც თვრამეტ წლამდე მიზანშეწონილად არ ითვლება.

მაგრამ პაპა ფარ-ხმალს არ ჰყრის. პატარა შვილიშვილის იმედი აქვს, დანიელასი. გოგო უფრო მოსიყვარულეაო, ფიქრობს. ადრე, სადგურის უფროსად რომ მუშაობდა, თავის ქუდს დაახურავდა ხოლმე, როცა დანიელა გიჭებს მატარებლების დაჯახობანას ეთამაშებოდა. დანიელა ტელევიზორს თვალს არ აშორებს, ისე ეუბნება:

– რა მოგვიდა, პაპა, ვერ უყურებ, აღზრდის ამბებზეა გადმოცემა! ბოლომდე მაყურებინე!

დანიელა ჯერ ექვსი წლისაა, მაგრამ უკვე იცის აღზრდის ფასი. პაპა ანტონიო გულმოკლული ამოიოხრებს:

– ჰაი, დედასა! კარგა გატყობთ, აღარავის არ გინდივართ და, რა ვქნა, ავდგები და სულაც კატებთან წავალ.

ერთხელაც, მართლა ადგა და წავიდა შინიდან. ლოტოს სათამაშოდ მივდივარო, დაიბარა, მაგრამ რის ლოტო, რა ლოტო! არჯენტინოს მოედნისკენ გასწია. იქ, ძველი რომის ნანგრევებში, თვლა არ ჰქონდათ კატებს. ანტონიო პაპა კიბეებს ჩაჰყვა, გადაძვრა რკინის მოაჯირზე, საკატეთს ავტომობილებით გაჭედილი ქუჩისგან რომ ჰყოფდა, და კატად გადაიქცა. ერთი გაიხედ-გამოიხედა, დაჯდა და თათების ლოკვა დაიწყო: ამ ახალ ცხოვრებაში ადამიანიშვილთა ფეხის ჭუჭყი და მტვერი არა შემყვეს რაო.

სწორედ ამ დროს იქვე ერთმა გაქუცულმა კატამ ჩამოიარა და თვალი თვალში გაუყარა, უცქირა, უცქირა და ჰკითხა:

– ბოდიში, სინიორ, მაგრამ თქვენ ანტონიო არა ბრძანდებით? მე ის პენსიონერი მასწავლებელი ვარ, თქვენი სახლის წინ რომ ვცხოვრობდი. მგონი, უნდა გახსოვდეთ. თუ არა და, ჩემი და მაინც აუცილებლად გეცოდინებათ.

– როგორ არა, ორივეს გიცნობთ. სულ ერთთავად იადონებზე ჩხუბობდით.

– მართალი ხარ, მართალი. სწორედ იმ ჩხუბსა და დავიდარაბას გამოვექეცი. კატებთან ყოფნა ვამჯობინე.

ანტონიო პაპა დიდად განაცვიფრა ამ ამბავმა. იმას ეგონა, კატად გადაქცევის ბრწყინვალე აზრი ჩემს მეტს არავის არ შეიძლება რომ მოუვიდესო. ახლა კი თავისი თვალით ხედავდა, რომ არჯენტინოს მოედანზე მეტად ცოტანი იყვნენ ნამდვილი კატები, დედითა და მამით კატები. უმეტესობა ის ხალხი იყო, ვინც პენსიონერად გახდომის მერე გადაქცეულიყო კატად.

კატები პირდაღებულნი შესცქეროდნენ ანტონიო პაპას. კატად ქცეულ სადგურის უფროსს პირველად ხედავდნენ და ყველას ერთი სული ჰქონდა, გაეგო, რა იყო, რა ხდებოდა მატარებლებში, მეორე კლასის საპირფარეშოებში. რატომ არასოდეს არ დევს საპონი და ა.შ.

როცა მოსაღამოვდა და ცაზე ვარსკვლავები აციაფდნენ, კატა-მასწავლებელი ლექციის კითხვას შეუდგა ასტრონომიის ხაზით.

– აბა, აიხედეთ მაღლა, – მიმართა კატებს, – აგერ იმ თანავარსკვლავედს დიდი დათვის თანავარსკვლავედი ჰქვია. ახლა აქეთ შემობრუნდით და მარჯვნივ გაიხედეთ, ის თხის რქაა. მერე თევზი მოდის, თევზს კირჩხიბი და ღრიანკალი მოსდევენ.

– მთელი ზოოპარკი ყოფილა! – სიტყვა შეაშველა კატა-მეეზოვემ.

– აგერ ის კი ძაღლის თანავარსკვლავედია...

– კარგი, კარგი! – გაისმა აქეთ-იქიდან, – კატის თანავარსკვლავედი თუა, შენ ის გვითხარი.

– არა, კატისა არ არის, – უპასუხა მასწავლებელმა.

– უყურე ერთი, ძაღლისა და ღორისა არი და მაინცდამაინც კატისა გამორჩენიათ!

კატებმა პროტესტის ნიშნად კნავილი მორთეს და დემონსტრაციის მოწყობა გადაწყვიტეს. საგანგებო წერილები დაუგზავნეს რომის კატებს, ფორის უბნის კატებს, ხორცისა და თევზის დახლების კატებს, საავადმყოფოების ფანჯრებთან მოდარაჯე კატებს, რომელთაც იციან, რომ ავადმყოფები აუცილებლად გარეთ გადმოჰყრიან თავიანთ წილ უვარგის საჭმელს. შეხვედრის ადგილად კოლიზეი დათქვეს.

მეორე დილით კატებმა ალყა შემოარტყეს კოლიზეის. ხელად პლაკატიც გაჩნდა: „კოლიზეი ჩვენს ხელთ არის! მოვითხოვთ კატის თანავარსკვლავედს!“

ტურისტები, მოგზაურები და ამვლელ-ჩამვლელნი გაოცებულნი იდგნენ და ტაშს უკრავდნენ. დღესასწაულმა ბრწყინვალედ ჩაიარა.

რომის კატები შემდგომი მოვლენების მოლოდინში თავიანთ ძველ კუთხე-კუნჭულს დაუბრუნდნენ. ანტონიო პაპა და კატა-მასწავლებელი არჯენტინოს მოედნისკენ გაეჩქარნენ და გზაში თან მომავლის გეგმებს აწყობდნენ.

– რა კარგი რამ იქნებოდა, – წამოიკნავლა კატა-მასწავლებელმა, – წმიდა პეტრეს ტაძრის თაღი კუდაპრეხილი კატებით რომ მოეხატათ!

ის იყო, სინიორ ანტონიომ კვერის დაკვრა დააპირა, ცუდი არ იქნებოდაო, რომ საიდანღაც ხმა შემოესმა:

– პაპა, პაპა!

პაპაო? ნუთუ მართლა დანიელაა? ის არი, ნამდვილად ის არი. სკოლიდან მომავალმა იცნო პაპა და დაეხმაურა, მაგრამ ანტონიო პაპა უკვე მიეჩვია კატად ყოფნას და თავს ისე იჭერს, ვითომ ვერც დაინახა თავისი კუდრაჭა შვილიშვილი.

– ცუდი კაცი ხარ, პაპუკა, ცუდი, ორი დღეა, დაგეძებ, სად გაგვეპარე?

– რა ლამაზი გოგოა, – ამბობს კატა-მასწავლებელი, – რომელ კლასშია ნეტავი! კარგი ხელი თუ აქვს? ფრჩხილებს ხომ იწმენდს ხოლმე? მაგას, ალბათ, არ უყვარს საპირფარეშოს კარების ჯოგბნა...

– ტყუილია, მაგისთანა გოგო მეორე არ დადის ქვეყანაზე, – ეუბნება, ცოტა არ იყოს, შეშფოთებული ანტონიო პაპა, – წავალ, სახლამდე მივაცილებ, თორემ მეშინია, სადმე უადგილო ადგილას არ გადავიდეს.

– გასაგებია, გასაგები, – კნავის კატა-მასწავლებელი, – მეც წამოვალ. ჩემს დას შევუვლი. საწყალს, ალბათ, ისევ სახსრების ანთება აქვს და თავისით ფეხზე ვერ იცვამს.

– წამო, მალე წავიდეთ, პაპა! – უბრძანებს დანიელა.

– შინ დაბრუნებულმა კატა სინიორ ანტონიომ თავის საყვარელ სავარძელში მოიკალათა და მისალმების ნიშნად ყურები გამოიბერტყა.

– პაპამ ყურები გამოიბერტყა, პაპამ ყურები გამოიბერტყა, – შეჰყვირა გახარებულმა დანიელამ.

– კარგი, კარგი, გეყოფა, – დაუტიეს შეცბუნებულმა მშობლებმა, – მალე მიდი, მაგიდას მიუჯექი.

რაც კი რამ საუკეთესო იყო, ყველაფერი კატად ქცეულ პაპას ერგო – სუკიც, დამტკბარი რძეც, ბისკვიტიც, ზრუნვას და ალერსს ხომ ნუღარ იტყვით. ხან – აბა, როგორ კრუტუნებსო, შესციცინებდნენ, ხან – თათის ჩამორთმევა თუ იცისო, ხელს ართმევდნენ, ხანაც ყურებსა ფხანდნენ, ანდა თავქვეშ ფუმფულა ბალიშს უდებდნენ და ნახერხიც კი მოიტანეს, საჭირო ადგილი გაუმართეს.

ნასადილევს პაპა აივანზე გავიდა. მოპირდაპირე სახლის აივანზე კატა-მასწავლებელი იდგა და იადონებს უთვალთვალებდა.

– როგორ არი საქმე? – ჰკითხა ანტონიო პაპამ.

– უკეთესს ვერ ინატრებ, – უპასუხა კატა-მასწავლებელმა, – ჩემი და ისე მექცევა, რაღა მე და რაღა რომის პაპის ცოლი.

– მერე უთხარი, ვინცა ხარ?

– ვუთხრა რა, სულელი კი არა ვარ, რო გამიგოს, ეგრევე საგიუეთში გამაგზავნის. ახლა კი საწყალი დედაჩემის ნაქონი საბანი მახურავს, წინათ ზედაც არ მახედებდა, შენ რასა შვრები, როგორ გიკითხო?

– ყოფნით, იცოცხლე, მეც არა მიჭირს რა, მაგრამ აღარ ვიცი, რა ვქნა, დანიელა სულ იმას მეხვეწება, ისევ პაპა გახდიო, თანაც სუყველა კეთილად მექცევა.

– არ გაგიუდე და მართლა არ დაუჯერო! ეგ იგივეა, ნაპოვნი განძი წყალში რო გადაყარო.

– რა ვიცი, – გაიმეორა ანტონიო პაპამ, – ეჰ, ერთი ტოსკანური სიგარა მომაწევინა ახლა, ნახევარი მაინც...

ასე იყო თუ ისე, ადგა ბოლოს ანტონიო პაპა და წავიდა არჯენტინოს მოედანზე. მივიდა ისევ იმ რკინის მოაჯ ირთან და ახლა იქიდან აქეთ გადმოძვრა, გადმოძვრა და კატა კვლავ ბერიკაცად გადაიქცა. ბერიკაცს ხელთ სიგარა ეჭირა და ცეცხლს უკიდებდა.

– შინ რომ მივიდა, ანტონიო პაპას გულს სულ ბაგაბუგი გაჰქონდა. პაპის დანახვაზე დანიელა ლამის გადაირია სიხარულით. მოპირდაპირე სახლის აივნიდან კი კატა-მასწავლებელმა ცალი თვალით გამოხედა და დაიკრუტუნა:

– ვაი შე სულელო, შენა!

გადმოაენა
გურამ გოგიაშვილმა

ანონსი, 19 მარტიდან

„ვაქებ ჭკუასა ბრძენისასა“...

„ყოველთვის სულ იმის ცდაში ვარ, რომ ადამიანში, ქალშიც და კაცშიც, უწინარესად ხასიათის საუკეთესო თვისებები დავინახო...

ზიგმუნდ ფროიდი



ვინ იყო ზიგმუნდ ფროიდი?

◎ თაობები განადიდებენ

ნიკოლოზობა ყატარში

2021 წლის 11 მარტი ის თარიღია, რომლითაც საქართველო საუკუნეების განმავლობაში იამაყებს.

ამ დღეს ნიკოლოზ ბასილაშვილმა ყატარის დედაქალაქ დოჰაში მიმდინარე ATR 250 კატეგორიის პრესტიჟული საჩოგბურთო ტურნირის მეოთხედფინალში თანამედროვეობის სანიშანსვეტო სპორტული ფიგურა როჯერ ფედერერი დასცა – 3:6, 6:1, 7:5 და საყვარელი სახეობის ვირტუალურ დიდების დარბაზში შეაბიჯა.

დამოუკიდებელ ქართულ სპორტს უხვად ჰყავს ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები, გვყავს ნბა-ს ორგზის ჩემპიონი ზაზა ფაჩულიას სახით, გვყავს სუმოში იმპერატორის თასის მფლობელი ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი), გვყავს ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგის ორგზის ტრიუმფატორი კახი კალაძე...

ნიკას მიერ განხორციელებული ძლევაი საკვირველი მნიშვნელობით სწორედ ჩამოთვლილ მიღწევათა რანგს უტოლდება ისევე, როგორც ოცი წლის წინათ ირაკლი ლაბაძის მოპოვებული გამარჯვება საერთაშორისო რეიტინგის მაშინდელ ლიდერ ანდრე აგასისთან. **„ბედნიერი ვარ, რომ როჯერი კორტზე დაბრუნდა და მასთან გამარჯვებით ოცნება ავიხდინე. ფედერერი ბავშვობიდან ჩემი კერპია“,** – მოკლედ მოჭრა სათქმელი ბასილაშვილმა.

ეს წარმატება ჰაერიდან არ მოსულა – მისი ნერგი ჩაყარეს და, დაახლოებით ნახევარი საუკუნის განმავლობაში, გაახარეს უიმბლდონის ფინალისტმა, ჩვენმა ლეგენდარულმა თანამემამულემ ალექსანდრე მეტრეველმა, უამრავი ტურნირის მთავარი პრიზის მფლობელმა თეიმურაზ კაკულიამ, ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა ლელა მესხმა...

ქართული ხასიათი რომ ვიცი, ზოგ-ზოგიერთები „წაიიაზვებენ“ – უკვე საკმაოდ მობერებულ 39 წლის შვეიცარიელ ფენომენს ტრავმის გამო წელიწადზე მეტია არ უვარჯიშია და ოპტიმალური კონდიციებიდან შორსააო. რა უნდა ვუპასუხოთ ასეთ თვისტომებს? ცნობილი ესპანური კინომელოდრამის სახელწოდებისა არ იყოს – „დაე, ილაპარაკონ“, ამით 29 წლის ტალანტის ავტორიტეტს არაფერი აკლდება, უფრო – პირიქით.

ასეთივე შეფასება ზედგამოჭრილია მისი მეუღლის ადვოკატის, მამალი, უფრო სწორად – დედალი სოროსელის ანა აბაშიძის შესახებაც, რომელმაც შარშან პოპულარული წყვილის ოჯახური კონფლიქტის პერიოდში ჩვენი სასახელო სპორტსმენი მონსტრად წარმოაჩინა და ისეთი ფსიქოლოგიური ტერორისთვის გაიმეტა, რომ მთელი სეზონი ჩაუგდო და ATR-ის კლასიფიკაციაში მე-16 პოზიციიდან 42-მდე დაქვეითებას შეუწყო ხელი. მაგრამ, **ასო**-ელისგან არაფერი გვიკვირს, მათ შორის არც ის, რომ ამ ანტიქრისტეების უმეცრება იქამდე დავიდა, რომ დოჰას ტურნირის ორგანიზატორებს იქიდან ნიკას მოკვეთა მოსთხოვეს(!).

თუმცა, სულით ძლიერი ბასილაშვილი იმბეცილთა მორიგ იერიშსაც ღირსეულად გაუმკლავდა და ნახევარფინალში საათსა და 17 წუთში ამერიკელი ტეილორ ფრიტცი დააჩოქა – 7:6, 6:1. პირველ სეტში მეტოქეებმა თითო ბრეიქი გაცვალეს და გამარჯვებული ტაი-ბრეიქმა გამოავლინა, ხოლო მეორეში ნიკამ ორი ბრეიქი შეასრულა.

შედეგმა არავინ დააბნიოს – ოკეანისგაღმელის ძალაზე მის მიერ მეორე წრეში ამბიციური ბელგიელის დევიდ გოფინის ძლევა მეტყველებს.

იგივე შეიძლება ითქვას ბასილაშვილის ესპანელ მეტოქეზე ფინალში – რობერტ ბაუტისტა აგუტზე, რომელმაც ტოპ-ათეულის წევრები – დომინიკ ტიმი და ანდრეი რუბლიოვი დაამარცხა, მაგრამ ნიკა მასაც მსგავსი სცენარით გაუსწორდა – 7:6, 6:2, 80 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავა, კარიერაში მეექვსე სატიტულო ბრძოლიდან მეოთხე მოიგო და კლასიფიკაციაში 42-დან 37-ე ადგილზე გადაინაცვლა.

დაჯილდოების ცერემონიალზე იგი ქართულად მიესალმა ვაჟს – ლუკას და მადლობა გადაუხადა ქომაგებს.

საგულისხმოა, რომ დიდგორის 900 წლისთავი ბასილაშვილმა საკუთარი ტრიუმფალური დიდგორით აღნიშნა, თანაც ეს ეპოქალური 13 მაისის 40 წლისთავზე – 13 მარტს მოხდა.

ასე რომ, ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას, ვაიქართველნო და გილოცავთ, ნაღდო ქართველნო!

◎ ევროლიგა

კრიზისის ფონზე...

მართალია, საკალათბურთო ევროლიგის მოქმედი ჩემპიონი ცსკა კრიზისშია და მიმდინარე გათამაშებაში უკვე მესამე საფეხურამდე დაქვეითდა, მაგრამ ჩვენთვის სასიამოვნო ისაა, რომ პარტნიორთა რეგრესის ფონზე ჩვეული კონდიციები აკრიფა არმიელთა ქართველმა ლეგიონერმა თორნიკე შენგელიამ.

„ჯვაროსანთა“ კაპიტანმა ამჯერად მოსკოველთა მიერ შინ „მილანთან“ წაგებულ შეხვედრაში იყოჩაღა – 76:84 და თანაგუნდელებს ორმაგი დუბლით შეეწია – 20 ქულა, 10 მოხსნა, 4 ჩაჭრა.

აღსანიშნავია, რომ დიმიტრის იტუდისის შეგირდებმა სატურნირო ცხრილში ადგილი სწორედ იტალიურ კლუბს გაუცვალეს (შესაბამისად – 18 და 19 გამარჯვება), ხოლო წამყვანი პოზიცია კიდევ უფრო განიმტკიცა „ბარსელონამ“, რომელმაც მადრიდში „ელ კლასიკო“ თვით „რეალს“ მოუგო (21 გამარჯვება).

სხვათა შორის, კატალონიელთა ფეერიულ თამაშს კლუბის პრეზიდენტად 54 წლის ჟოან ლაპორტას დაბრუნება დაემთხვა, რომელიც შარუნას იასიკიავიჩიუსის გაწვრთნილი ბიჭებისთვის ახალი დარბაზის აშენებას აპირებს (ასევე – „კამპ ნოუს“ რეკონსტრუქციას).

◎ სიცოცხლეშივე...

გაღამღები მაგალითი

როგორც მოგეხსენებათ, აწ გარდაცვლილი ფეხბურთის ღმერთის – დიეგო მარადონას სახელი ნეაპოლის „სან პაოლოს“ სტადიონს მიანიჭეს, სადაც არგენტინელმა მთელი ეპოქა შექმნა.

ეტყობა, ეს მაგალითი ბრაზილიელებმაც გაითვალისწინეს და ფეხბურთის ისტორიაში მსოფლიოს ერთადერთი სამგზის ჩემპიონის პელეს სახელის მიკუთვნება ლეგენდარული „მარაკანას“ სტადიონისთვის მის უკვდავსაყოფად ფეხბურთის მეფის სიცოცხლეშივე გადაწყვიტეს.

რიოს შტატის საკანონმდებლო საბჭოში შეტანილი შესაბამისი ინიციატივის ავტორია რეგიონულ პარლამენტში მშრომელთა პარტიის წარმომადგენელი დეპუტატი ანდრე სისილიანუ. იდეის ხორცშესასხმელად კენჭისყრის შემდეგ დოკუმენტს ხელი შტატის გებურნატორმა კლაუდიო კასტრომ უნდა მოაწეროს.

◎ ხუთი რგოლი

ბახის მარტი

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 137-ე სესიამ კიდევ ერთი და უკვე საბოლოო ოთხწლიანი ვადით 2025 წლამდე ნდობა 67 წლის გერმანელ თომას ბახს გამოუცხადა.

პანდემიის გამო ონლაინ-ფორმატში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში ერთადერთ კანდიდატს ხმა სოკ-ის 93-მა წევრმა მისცა, ერთი წინაამდეგი იყო, ხოლო ოთხმა თავი შეიკავა.

შეგახსენებთ, რომ მან აღნიშნული ორგანიზაციის თავკაცის პოსტზე 2013 წელს ბელგიელი წინამორბედი ჟაკ როგე შეცვალა, ბახის მოღვაწეობის მთავარ მოვლენებად კი რუსულ სპორტში აგორებული დოპინგ-სკანდალი და ტოკიოს ოლიმპიადის ერთი წლით გადადება იქცა.

◎ ლეკვი ლომისა

სნუკერშიც შეაღწიეს

ძალთა ბილიარდისა და სნუკერის მსოფლიო ასოციაციამ 8 მარტი სნუკერის პროფესიულ ტურთან გაფორმებული მართლაც ისტორიული ხელშეკრულებით აღნიშნა, რომლის თანახმადაც ამიერიდან საუკეთესო მამაკაც სნუკერისტთა კამპანიაში მშვენიერთა სქესის ორი წამყვანი წარმომადგენელი ითამაშებს.

ეს პატივი კარიერაში 29 სარეიტინგო ტურნირის მომგებ ინგლისელ რიან ევანსსა და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს, ორგზის ჰონგ კონგის წლის საუკეთესო სპორტსმენს ნგონ იის ხვდათ წილად. დავძენთ, რომ ეს დუეტი უკვე 15 სეზონია ქალთა სნუკერის აღიარებული ლიდერია, თვით ქალთა სნუკერი კი 40-წლიან ბიოგრაფიას ითვლის. შესაბამისი ასოციაციის თავქალია მენდი ფიშერი.

№ 53-54. ორშაბათი-სამშაბათი, 15-16 მარტი, 2021 წელი.



მე სიყვარულმა დაბერების არ მომცა ნება...

„როდესაც მის სახელოსნოში შედიხარ, ხვდები, რომ ეს მისი სამოთხეა და იმავდროულად მისი უდაბნო, დევების მარანია, სადაც იქეიფეს დევებმა და რაღაც გრანდიოზული დატოვეს, იმავდროულად ჩიტი ნიბლიას ბუდეა, სადაც მისი სიფრიფანა, მბრწყინავი ბუმბულები ფერებად გაფანტულა ჰაერში. დადიხარ, ათვალიერებ და ნათელია, რომ ეს მისი ბედისწერაა, ვნებაა, სულია და სიყვარული. აქ მისი ოჯახური დინასტიის მიერ შექმნილი სურათების ექსპოზიციაა. ვფიქრობ, ეს მარადისობა არის მოქცეული წამში, თუ



წამი მთელ მარადისობას შეიძლება იტევდეს?!“, — ეს შესანიშნავი ამონარიდი წინათქმიდან კონსტანტინე (კოკო) გამსახურდიას ეკუთვნის, რომელიც სულ ახლახან გამოცემულ წიგნს უწინამძღვრა, რომლის რედაქტორიც პოეტ ნანა ცინცაძესთან ერთად თავადაც გახლავთ.

ეს წიგნია შესანიშნავი ხელოვნის, ჩვენი მეგობრის, სულით ხორცამდე სამშობლოზე თავგადადებული ადამიანის **მერაბ მეტრეველის** „მზე მეწამული“. ხვალ ჩვენი ულამაზესი ძმის სული ზეციურ საქართველოს შეუერთდება და იქ დაივანებს, სადაც მართალნი განისვენებენ.

„მე სიყვარულმა დაბერების არ მომცა ნება. დავდივარ კვლავაც ჭაბუკურად წელგამართული“, — ამბობს მერაბი ერთ თავის ლექსში, რომელიც ამავე კრებულშია შეტანილი. თუ არ ვცდები, ეს მისი ლექსების მეხუთე წიგნია — სიყვარულით, სიხარულით, ტკივილითა და ცრემლით შექმნილი ლექსების სამყარო.

მისი სახელოსნო, რომელიც თავის დროზე მერაბის მშობლებს, საქართველოს დამსახურებულ მხატვრებს **შოთა** და **მარგარიტა მეტრეველებს** ეკუთვნოდათ, ყოველთვის მუზათა სამფლობელოდ ითვლებოდა. ნაძალადევში, ყოველდღიური ფუსფუსით, რია-რიათი და ხმაურით სავსე ქუჩების გადაკვეთაზე მიყუჟულ ამ პატარა, ორიგინალური სტილით ნაგებ სამხატვრო სახელოსნოში მერაბის მეგობრებს სულის მოსასვენებელი ადგილი გვქონდა, რომელიც ჩვენმა ნიჭიერმა ძმამ ხელოვნების მოყვარულთა სალონად გადააქცია. ცნობილი ქართული სალონების მსგავსად, აქ მუდამ ისმოდა სიმღერა, საუბარი ხელოვნებაზე, ზეობდა ლექსის ძალა, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ეროვნული მოძრაობის შესახებ თითოოროლამ იცოდა, ზვიადისა და მერაბის სახელებს ჩურჩულით ამბობდნენ და თავისუფლების სიო არც ქროდა, მერაბის სახელოსნო-სალონში თამამად შეიძლებოდა ტაბუდადებულ თემებზე საუბარი, აზრის გამოთქმა.

ბავშვობიდანვე შესანიშნავად ხატავდა და არც იყო გასაკვირი, ცნობილი მხატვრების ოჯახში გაზრდილს, რომელსაც ტილოზე გადატანილი საქართველოს ბატალური სცენების გარემოში უწევდა ყოფნა, სხვა გზა აერჩია, მაგრამ მერაბმა მუსიკალური ტექნიკუმის კარი შეაღო, შესანიშნავი ტენორი, ევროპული და ქართული საოპერო არიების მართლაც ბრწყინვალე შემსრულებელს ბევრჯერ დაუტყვევებია თავისი ხმით არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი სტუმრებიც. შემდეგ იყო სამხატვრო აკადემია, და... მერაბი თავისთავადი ფერმწერი და მუსიკოსი მართლაც შესანიშნავი მოქანდაკე გახდა. კავშირის მასშტაბით აღიარეს მისი ნამუშევრები „კვაზიმოდო“ და „ბეთჰოვენი“., საოცარი პლასტიკა, შესრულების მანერა და პოეზია გამოსჭვივის მისი ყოველი ნამუშევრიდან. დედაქალაქის სხვადასხვა ადგილას აღიმართა მისი სამფიგურიანი სკულპტურა „სამშობლოს არვის წავართმევთ“, „ქართვლის ვედრება“. იგი მართლაც შედევრი გახლავთ, ესეც ხომ თავისებური პოეზიაა, ფილოსოფია — წვეროსანი ბერიკაცი, რომელსაც ხელთ აკვანი უპყრია, იმედით გაჰყურებს ზეცას. ისიც სიმბოლურია, რომ სამშობიარო სახლის ეზოშია აღმართული და ახალშობილთა ერთგვარ დამცველად და მათზე მლოცველად გვევლინება. მისი მეგობრების ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ბიუსტები სამი წელია, ამშვენებს მარტვილის ცენტრალური პარკის შესასვლელს.

დიდი ხანია, ნაძალადეველები ველით ცოტნე დადიანის ბიუსტის დადგმას დადიანის გამზირზე, რომელიც თავის ქალაქს უსახსოვრა მერაბ მეტრეველმა.

იგი თხემით ტერფამდე ინტელიგენტი გახლდათ, უსაზღვროდ შეყვარებული ოჯახზე, სამშობლოზე, თბილისზე და მშობლიურ ნაძალადევზე. მუდამ ჩუმი და თავმდაბალი, იმავდროულად საოცრად მკაცრიც და პირდაპირიც, მიუხედავად უსახსრობისა, იგი ყველას მფარველად და გვერდშიმდგომად გვევლინებოდა და ამიტომაც დიდ პატივისცემას იმსახურებდა უამრავ, სხვადასხვა პროფესიისა და მრწამსის ადამიანთა შორის. ჩვენ, მისი მეგობრები, ყოველთვის ვამაყობდით იმით, რომ შესანიშნავი მუსიკოსი, მხატვართა და მწერალთა შემოქმედებითი კავშირების წევრი, შესანიშნავი მოქანდაკე, ფერმწერი და პოეტი ყოველთვის ჩვენ გვერდით იყო. ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან, სულ შვიდი ათეული ჩაათავა და ნატვრად გაჰყვა ოცნება..

ნეტავ ერთი დღით მაქცია
შვილი ბედნიერ ქვეყნის;
ერთხელ გულღიად მამღერა
მეგუთნისა და მეხრის.

პანდემიის პირობებში ბევრმა ვერ შეიტყო მისი გარდაცვალება, შესაფერისი პატივი ვერ მიაგო ჭეშმარიტი ხელოვანის ამ ქვეყნიდან წასვლას, ვერ მიუსამძიმრა მის ერთადერთ ქალიშვილს თათიას, რომელიც ყოველთვის მამის მესაიდუმლე და გვერდში მდგომი იყო. მერაბმა მართლაც შესანიშნავი ფერწერით, ქანდაკებებითა და პოეზიით დაატყვევა ხელოვნების მოყვარულები.

მამუკა ვაშაკიძე

პრეზიდენტს დემონსტრანტები თავს დაესხნენ

არგენტინის პრეზიდენტს თავს დაესხნენ. ინციდენტი ჩუბუტის რეგიონში მოხდა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა სამთო წიაღისეულის მოპოვების შეჩერებას მოითხოვდა. მიკროავტობუსი, რომელშიც პრეზიდენტი იმყოფებოდა, დემონსტრანტებმა ალყაში მოიქციეს და გადაადგილების საშუალებას არ აძლევდნენ. საბოლოოდ მიკროავტობუსმა ხალხის მასიდან გაღწევა შეძლო, რის შემდეგაც მანქანას ქვები დაუშინეს. პრეზიდენტი ინციდენტის შედეგად არ დაშავებულა.

ყოფილი პრეზიდენტი საწოლის ქვეშ იმალებოდა

ჟანინ ანიესი, რომელიც 2019-2020 წლებში ბოლივიის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა, პოლიციელებს საწოლის ქვეშ დაემალა. ექსპრეზიდენტის ბინაში ჩხრეკის ჩასატარებლად მისულმა სამართალდამცველებმა ანიესი დიდ ყუთში აღმოაჩინეს, რომელიც საწოლის ქვეშ იდო.

ოჯახის წევრებმა პოლიციელებს ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწიეს, რის გამოც სამართალდამცველებს 3 ადამიანის, მათ შორის, ანიესის ქალიშვილის დაკავება მოუხდათ. ჟანინ ანიესი სახელმწიფო გადატრიალების შესახებ გამოძიების ფარგლებში 12 მარტს დააკავეს. ექსპრეზიდენტის გარდა პოლიციამ იუსტიციის ყოფილი მინისტრი ალვარო კოიმბრა და ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი როდრიგო გუსმანიც დააპატიმრა.

კომპენსაციის სახით — 27 მილიონი დოლარი

მინეაპოლისის ხელისუფლება (მინესოტას შტატი, აშშ) 27 მლნ დოლარის კომპენსაციას გადაუხდის აფროამერიკელი ჯორჯ ფლოიდის ოჯახს, რომელიც დაკავების დროს პოლიციელის მხრიდან განხორციელებული ქმედების დროს გარდაიცვალა. ამგვარად, ქალაქის მთავრობა ფლოიდის ოჯახის წინასასამართლო სხდომის ეტაპზე სარჩელის დარეგულირებაზე დათანხმდა. სარჩელი ფლოიდის ოჯახმა ქალაქისა და აფროამერიკელის მკვლელობაში დადანაშაულებული პოლიციის ოფიცრების წინააღმდეგ შეიტანა.

სარჩელში მითითებული იყო, რომ პოლიციის ოფიცრებმა დაკავების დროს დაარღვიეს ფლოიდის უფლებები, ქალაქის მთავრობამ კი პოლიციას ხელი შეუწყო, „აეყვავებინა გადამეტებული ძალის, რასიზმისა და უკანონობის კულტურა“. ფლოიდის მკვლელობისთვის ბრალი პოლიციის ოთხ ოფიცერს წარედგინა.

უკრაინის დეოკუპაციისა და რეინტეგრაციის სტრატეგია

უკრაინამ ყირიმის დეოკუპაციისა და რეინტეგრაციის სტრატეგია დაამტკიცა. ამის შესახებ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი დმიტრო კულება იტყობინება.

„ჩვენ დავამტკიცეთ ყირიმის დეოკუპაციისა და რეინტეგრაციის სტრატეგია, ისტორიული დოკუმენტი, რომელიც ჯერ კიდევ 2014 წელს უნდა მიგვეღო. ეს არის მკაფიო სიგნალი — ჩვენ არა მხოლოდ მსოფლიოს მოვუწოდებთ, რომ დაგვეხმარონ ყირიმის დაბრუნებაში, არამედ თავად უკრაინა, პრეზიდენტ ზელენსკის ლიდერობით, სისტემურად და სერიოზულად არის ამ საქმით დაკავებული“, — აცხადებს კულება.

საგარეო საქმეთა მინისტრის ინფორმაციით, ყირიმის დაბრუნების საკითხი 3 ძირითად პრინციპს ეფუძნება.

ტურისტების ნაკადების გასაკონტროლებლად გუდაურსა და ბაკურიანში სპეციალური დერეფნები მოეწყობა

ბაკურიანსა და გუდაურში არსებულ ვითარებაზე მონიტორინგს შრომის ინსპექტორთა ჯგუფები შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო და კრიმინალურ პოლიციასთან ერთად, უწყვეტ რეჟიმში განაგრძობენ. ამ დროისთვის, დამსვენებელთა შორის სოციალური დისტანციის, ნაკადების კონტროლის დაცვისა და ერთ სივრცეში მაღალი კონცენტრაციის პრევენციის მიზნით, ბადეების საშუალებით მიმდინარეობს სპეციალური დერეფნების მოწყობა.

უწყება განმარტავს, რომ პარალელურად, გრძელდება ინსპექტორთა ჯგუფების ჩართულობით ობიექტების მხრიდან დადგენილი რეკომენდაციების დაცვაზე კონტროლი. ასევე, ინსპექტორები ზედამხედველობას უწევენ ობიექტებისშესასვლელებს. 9-13 მარტის პერიოდში, შრომის ინსპექციამ გუდაურსა და ბაკურიანში სულ 186 ობიექტი შეამოწმა. პრევენციული მიზნებიდან გამომდინარე, მათგან 146-ზე გაიცაზეპირსიტყვიერი გაფრთხილება, 18 პროტოკოლის დაცვაზე კითხვარის საშუალებით შემოწმდა. 22 ობიექტის გადამოწმებისას კი დადგინდა, რომ წესების დაცვით ოპერირებდნენ.

შრომის ინსპექციის სამსახური საკურორტო ზონებში განთავსებული ობიექტების ხელმძღვანელებსა და მოქალაქეებს მიმართავს. უწყება მოუწოდებს, გამოიჩინონ მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნება და დაიცვან ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციები.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲚᲐᲛᲐᲖᲛᲐᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

17 ᲬᲚᲘᲡ ᲖᲘᲜᲘ ᲥᲐᲯᲐᲘᲐᲛ ᲡᲣᲚ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲗᲐᲕᲐᲓ „ᲔᲛᲞᲝᲠᲘᲝ ᲐᲠᲛᲐᲜᲘᲡ“ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲯᲝᲠᲯᲝ ᲐᲠᲛᲐᲜᲘᲡ ᲘᲡᲔ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲔᲑᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲡ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲣᲗᲥᲕᲐᲛᲡ „ᲨᲔᲜ ᲒᲐᲮᲡᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐᲡᲝ“.

ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ, ᲡᲝᲤᲔᲚ ᲭᲐᲒᲐᲜᲨᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ. ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘᲪ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲘᲥ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲡ. ᲖᲘᲜᲐ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲗ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲠᲩᲘᲝᲓᲘᲝ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲔᲣᲑᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲓᲔᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲛᲮᲓᲐᲠᲘᲧᲐᲕᲘ. 17 ᲬᲚᲘᲡ ᲚᲐᲛᲐᲖᲛᲐᲜᲘ, ᲜᲘᲜᲝ ᲪᲥᲘᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲓᲔᲚᲝ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘᲐ.

ᲛᲘᲚᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲖᲔ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ, ᲘᲛᲔᲓᲘᲐ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲖᲔ ᲒᲐᲘᲧᲕᲐᲜᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲡ.

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚ „ᲡᲣᲮᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲖᲔ“

„ᲡᲣᲮᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ“ — ᲐᲡᲝ ᲰᲥᲕᲘᲐ ᲬᲘᲒᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡ ᲛᲝᲣᲗᲮᲠᲝᲑᲡ. ᲬᲘᲒᲜᲘ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ �გᲐᲛᲝᲘᲪᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲡᲣᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ Facebook-ᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲬᲔᲠᲡ.

„ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲘ, �პᲐᲜᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ! ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ 1945-2020 ᲬᲬ. ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲘᲠᲘᲜᲐ ᲐᲑᲟᲐᲜᲓᲐᲫᲔᲡ, ᲙᲝᲢᲔ ᲯᲐᲜᲓᲘᲔᲠᲡ, ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲘᲢᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲯᲒᲣᲤᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲐᲛ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲔᲮᲛᲐᲠᲐ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ �მᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲨᲐᲕᲐᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲡ (ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲡᲔᲖᲐᲜᲘ“) ᲓᲐ ᲜᲐᲜᲐ ᲓᲝᲚᲘᲫᲔᲡ (ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ)“, — ᲬᲔᲠᲡ ᲜᲘᲜᲝ ᲡᲣᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲒᲐᲠᲔᲣᲚ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲕᲔᲚᲣᲠ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲨᲘᲐ!

UFHTVJC ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲢᲧᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲮᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲐᲕᲡ:

„ᲛᲘᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ, ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲜᲐᲓᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲒᲐᲠᲔᲣᲚ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲨᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲢᲧᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲗ, ᲔᲡ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ, ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ, ᲡᲐᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲝᲓ ᲐᲜ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝ ᲢᲧᲕᲔᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲘ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ, ᲒᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲘ. ᲒᲐᲠᲔᲣᲚ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲕᲔᲚᲣᲠ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲨᲘᲐ.

ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲓᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲔᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲢᲧᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲑᲜᲘᲠᲘᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲠᲐ ᲓᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ „ᲬᲘᲗᲔᲚ ᲜᲣᲑᲡᲐᲨᲘ“, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲓᲐᲨᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲙᲕᲚᲐ ᲐᲜ ᲓᲐᲢᲧᲕᲔᲕᲔᲑᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ ᲘᲡᲯᲔᲑᲐ“.

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲘᲕᲘᲗ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ!

ᲒᲐᲜᲐᲗᲐᲕᲡᲔᲗ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲓᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲬᲧᲕᲗ 102 ᲬᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ �გᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐᲡ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲘᲐ: №GE19TB7601536020100009.

(ᲨᲗᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ“ — ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ).

ᲩᲘᲜᲣᲠ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ALIBABA“-Ს ᲓᲘᲓᲘ ᲯᲐᲠᲘᲛᲐ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ

THS-THS ᲣᲛᲡᲮᲕᲘᲚᲔᲡ ᲝᲜᲚᲐᲘᲜ-ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲡ, ᲩᲘᲜᲣᲠ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „Alibaba“-Ს, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲗᲐᲜ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ. ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲐᲜᲢᲘᲛᲝᲜᲝᲞᲝᲚᲘᲝᲠᲛᲐ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲛᲐ, ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲡᲝᲚᲘᲓᲣᲠᲘ 975 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲐ ᲓᲐᲐᲙᲘᲡᲠᲐ.

ᲯᲔᲙ ᲛᲐᲡ, ᲙᲝᲠᲞᲝᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲐᲠᲡᲔᲑᲔᲚᲡ, ᲯᲐᲠᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲐᲪ ᲛᲝᲣᲬᲔᲕᲡ. ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲠ ᲐᲰᲘᲠᲔᲑᲡ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲠᲝᲛᲘᲡᲖᲔ ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲡ.

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲗᲕᲚᲘᲡ, ᲠᲝᲛ 20-ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ ᲑᲠᲣᲜᲕᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ „Alibaba“-ᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲐ ᲘᲥᲔᲜᲑᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲝᲜᲚᲐᲘᲜ ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲘ ᲐᲛ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲣᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲝᲓ ᲒᲐᲣᲛᲙᲚᲐᲕᲓᲔᲑᲐ.

ᲙᲝᲕᲘᲓ-ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ „ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲜᲐ“!!!



ᲰᲝᲜᲒ-ᲙᲝᲜᲒᲨᲘ ᲙᲝᲕᲘᲓ-19-ᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔ�გᲝ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲔᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲐ. ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲛᲮᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐᲛ ᲞᲠᲝᲕᲝᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲐ, — ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ.

ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ 80 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲪᲠᲐ 1 ᲛᲐᲠᲢᲡ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ 13 ᲛᲐᲠᲢᲡ �გᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲗᲐᲜᲛᲮᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲘᲐᲑᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲰᲘ�პᲔᲠᲢᲝᲜᲘᲐ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲘ 67 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ, ᲛᲐᲡᲐᲪ ᲓᲘᲐᲑᲔᲢᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲪᲠᲘᲡ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐ, ᲔᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲛ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲚᲣᲞᲔᲑᲝᲓᲐ.

ᲰᲝᲜᲒ-ᲙᲝᲜᲨᲘ ᲡᲣᲚ ᲠᲐᲦᲐᲪ 11 000 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲐ ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲐᲛ ᲕᲘᲠᲣᲡᲘᲗ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲣᲚᲘ. ᲠᲝᲒᲠᲝᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲙᲝᲕᲘᲓᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔ�გᲝ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐᲡ, ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲓᲠᲝ ᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲪᲓᲔᲚᲐᲓ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲡ ᲤᲐᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ.

ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡ ᲐᲘᲕᲐᲜᲘ

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥ ᲕᲔᲜᲐᲨᲘ Ე. Წ. „ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡ ᲐᲘᲕᲐᲜᲘ“ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲘᲕᲐᲜᲘᲐ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲤᲘᲣᲠᲔᲠᲛᲐ 1938 ᲬᲚᲘᲡ 15 ᲛᲐᲠᲢᲡ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲐᲜᲨᲚᲣᲡᲘᲡ (ᲐᲜᲔᲥᲡᲘᲐ) ᲓᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲠᲐᲘᲮᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ �გᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲐ.

ᲐᲘᲕᲐᲜᲘ ᲰᲐᲕᲡᲑᲣᲠᲒᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲐ. ᲗᲐᲕᲓᲐ�პᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲨᲘ ᲙᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲕᲘᲖᲘᲢᲝᲠᲡ ᲨᲔᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲐᲘᲕᲐᲜᲖᲔ ᲡᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲝ ᲤᲝᲢᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲐ.

„ᲨᲐᲠᲚᲘ ᲔᲑᲓᲝᲛ“ ᲘᲡᲔᲕ ᲪᲔᲪᲮᲚᲡ ᲔᲗᲘᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ „ᲨᲐᲠᲚᲘ ᲔᲑᲓᲝᲛ“ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚ ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔ�გᲐᲜ ᲛᲐᲠᲙᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣᲠᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ. ᲛᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ ᲤᲔᲮᲘᲗ ᲐᲮᲠᲩᲝᲑᲡ ᲡᲐᲡᲔᲥᲘᲡᲘᲡ ᲰᲔᲠᲪᲝᲒᲘᲜᲘᲐᲡ.

„ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲘᲥᲪᲐ ᲛᲔ�გᲐᲜᲘ ᲑᲣᲙᲘᲜ�გᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ?“ — ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲡ ᲒᲐᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚᲘ. ᲛᲔ�გᲐᲜ ᲛᲐᲠᲙᲚᲘᲡ ᲡᲐ�პᲐᲡᲣᲮᲝ ᲢᲔᲥᲡᲢᲨᲘ ᲙᲘ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ: **„ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲠᲝᲛ ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲔᲫᲚᲝ“.**

ᲛᲔ�გᲐᲜ ᲛᲐᲠᲙᲚᲛᲐ ᲝᲠᲐ ᲣᲘᲜᲤᲠᲘᲡᲗᲐᲜ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲨᲘ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲠᲐᲡᲘᲖᲛᲨᲘ ᲓᲐᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲐ. ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲨᲘ ᲛᲐᲜ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲛᲣᲥᲘ ᲙᲐᲜᲘ ᲔᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲨᲕᲘᲚ ᲐᲠᲩᲘᲡ. ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲝᲯᲐᲮᲛᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲐᲕᲠᲪᲔᲚᲐ.

მᲝᲐᲛᲖᲐᲓᲔᲡ
ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲥᲝᲑᲣᲚᲘᲐᲛ ᲓᲐ ᲙᲐᲮᲐ ᲥᲝᲠᲘᲫᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48
ᲢᲔᲚ: 239-03-43

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲥᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
�გᲣᲠᲐᲛ �გᲝ�გᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲗᲐᲛᲐᲠᲗᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲗᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ — ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲗᲡ „ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
Ტ: 599 79-76-79

ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲘ“
Ე. ᲑᲐᲦᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
Ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

**ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ